# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 ნოემბერი 2005 №261 (2584) ფასი 50 თეთრი





კოკა ინასარიძე სოფიიდან


# ვინ იქნება პრავი ლევსკიზე?

## დღეს სტოიჩკოვი — დარსაძეა

საქართველოს ნაკრები ბულგარეთს პირველად 11 წლის წინ, 1994-ის 12 ოქტომბერს სტუმრობდა. მაშინ ჩვენი ეროვნული გუნდი ევროპაში ახალფეხგადგმული იყო და საფეხბურთო საქართველოზე ბევრს წარმოდენაც არ ჰქონდა. ბულგარეთი კი თავისი სტოიჩკოვით, ლეჩკოვით, ბალაკოვითა და კოსტადინოვით ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან შინ ფურორით დაბრუნებული დაუხვდა საქართველოს და, წარმოიდგინეთ, მაშინდელ მატჩს რამხელა აჟიოტაჟი ახლდა. უფროსი კოლეგებისგან გადმოცემით ვიცი, რომ მაშინ სოფიის აეროპორტში საქართველოს ნაკრებს, რომელსაც ბულგარეთამდე ერთი ოფიციალური მატჩი ჩაეტარებინა (საქართველო — მოლდოვა 0:1), ჟურნალისტთა მთელი არმია დახვდა და გუნდიც მათი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აეროპორტში კარგა ხანს შეყოვნებულა. ალბათ, მთლად ასე არა, მაგრამ ჩვენებს სოფიაში ახლაც დიდი ინტერესით შეეგებნენ, მრავლად იყვნენ ქომაგებიც და კოლეგებიც, რომლებმაც შანსი არ გაუშვეს და მილანელ კახა კალაძეს, შალკელ ლევან კობიაშვილსა და ალკმაარელ შოთა არველაძეს ინტერვიუები ჩამოართვეს. განსაკუთრებული მოთხოვნა შოთა არველაძეზე იყო, ის ხომ საქართველოს ნაკრებში 11 წლის წინაც თამაშობდა და სოფიას ახლაც ესტუმრა. თანაც ამათი „ლიტექსი“ უეფას თასის ჯგუფში ახლა სწორედ „ალკმაარის“ მეტოქეა და ბულგარელები ამ ამბითაც დაინტერესდნენ.

...საქართველოს ნაკრები სოფიას ნაშუადღევს ჩამოვიდა და ხუთვარსკვლავიან „კემპინსკიში“ დაბინავდა, რომელიც თურმე მთელ ბალკანეთში პირველი უმაღლესი დონის სასტუმრო ყოფილა და ახლაც, იაპონელებისგან შესყიდული, საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება. გუნდი სასტუმროში ნახევარი საათით შეჩერდა და სავარჯიშოდ გასწია. მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ აქ 22 ფეხბურთელი იახლა და გუშინ ისინი დიდად არც დაუტვირთავს — იყო მოთელვა, ნახევარ მოედანზე თამაში და სტანდარტულების დამუშავება. გამორჩეული ყურადღება დარსაძეს მცველთა კვარტეტისკენ ჰქონდა და დღევანდელ მატჩშიც ალბათ ასეთ დაცვას ვიხილავთ: მარჯვნიდან მარცხნივ — მჟავანაძე, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კალაძე.



ხრისტო სტოიჩკოვი



გაიოზ დარსაძე

— საქართველოს ნაკრებს უკვე ჩამოყალიბებული სათამაშო სისტემა აქვს და ყველა მატჩს 4-3-2-1 სქემით ვითამაშებთ, თუმც, რა თქმა უნდა, შესაძლოა ხანდახან გარკვეული ცვლილებები მოხდეს — გვითხრა „ვასილი ლევსკიზე“ ვარჯიშის შემდეგ გაიოზ დარსაძემ.

— საქართველოს ნაკრები თქვენი ხელმძღვანელობით მეექვსე მატჩს ბულგარეთთან გამართავს. ამ თამაშისგან, მით უმეტეს, ამხანაგურისგან, რაიმე განსაკუთრებულს უნდა ველოდოთ?

— არა. მნიშვნელოვანი სიახლე ტაქტიკურ მონახაზში არაფერი იქნება. ჩვენ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ვემზადებით და ამ მატჩსაც საამისოდ გამოვიყენებთ. სასწაულს არაფერს გპირდებით.

— ფეხბურთელების მომზადებით კმაყოფილი ხართ?

— დიახ, მათი კონდიციები მაკმაყოფილებს. მატჩის წინ, მგონი, ზედმეტად აგრესიულებიც არიან.

— იორდანიასთანაც ამ 22 ფეხბურთელს დაეყრდნობით?

— ჯერ ვერ გეტყვით. ვინ დაგვტოვებს, თბილისში ვინ წამოვა, მატჩის შემდეგ გაირკვევა.

— მოედნით კმაყოფილი იქნებით...

— თითქმის იდეალური გაზონია, სიამოვნებაა ასეთ მოედანზე თამაში.

სადღეისო ძირითადი შემადგენლობა კი მწვრთნელს ვერაფრით დავტყუეთ, მატჩისას იხილავთო. სამაგიეროდ, შევიტყვეთ, რომ ბულგარელთა თავკაც ხრისტო სტოიჩკოვს გუშინ დილით ის ოთხი ფეხბურთელი დაუსახელებია, რომლებიც, თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, უეჭველად დაიწყებენ საქართველოსთან მატჩს: დიმიტარ ბერბატოვი, სტილიან პეტროვი, მარტინ პეტროვი და ვალერი ბოჟინოვი. ეს ოთხეული სტოიჩკოვისთვის მთავარ ძალას წარმოადგენს და სამომავლო გუნდის ბირთვადაც შეუგულებია.

— კარგი და საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს. საქართველოსთან ადრეც გვითამაშია და ვიცი ამ გუნდის შესაძლებლობები. ქართველები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, ჩვენნაირი მანერა აქვთ და მათთან შეხვედრა სასარგებლო იქნება — უთქვამს ბულგარული ფეხბურთის ლეგენდას.

სტოიჩკოვმა საქართველოსთან მატჩისთვის არ გამოიძახა ბულგარული გრანდების — ცესკას, „ლიტექსისა“ და „ლევსკის“ ფეხბურთელები. ამ კლუბებს უთხოვიათ, უეფას თასზე მნიშვნელოვანი თამაშები გველის და ფეხბურთელებს ნაკრებში ნუ გადაგვიღლითო. მით უმეტეს, ბულგარეთს 16 ნოემბერს ოკეანის გაღმა ჰიუსტონში აქვს მექსიკასთან მატჩი დაგეგმილი.

სადღეისოდ 45-ათასიანი „ვასილი ლევსკის“ სანახევროდ შევსებასაც არ ელიან. ქომაგები ნაკრების წარუმატებლობით თურმე ძალიან გულგატეხილნი ყოფილან და ბილეთის სიიაფის მიუხედავად სტადიონზე წასვლას არ აპირებენ...

ჩვენ რაღა ვთქვათ?!

შეგახსენებთ, მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება და პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივ არხზე იქნება.



„ვასილ ლევსკი“ კიდევ ერთხელ უმასპინძლებს ბულგარეთ — საქართველოს

# ლადო ბურდული: ივო შუშაკმა ოსიეკში გადასვლა შემომთავაზა

**თუ რა ამბები გადახდათ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ წასულ ქართველებს, ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია. ამ დღეებში კი რუსეთის ჩემპიონატში შესვენება იყო და ხანმოკლე შვებულება ალანიელმა ქართველებმა სამშობლოში გაატარეს... 25 წლის ლადო ბურდულს, ვისაც მარჯვენა ფლანგზე თამაშით ბევრი ვერ შეედრება, გაიოზ დარსაძე ნაკრებში არ იწვევდა მაშინაც, როცა ბურდული „ალანიას“ ძირითადში თამაშობდა... ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბურდული ისეთ გუნდში გადავა, სადაც სათამაშო პრაქტიკა მისთვის პრობლემა არ იქნება და, ალბათ, ნაკრების თავკაცი იძულებული გახდება, მისით დაინტერესდეს...**


ლადო ბურდულს ივო შუშაკი თავისთან ეპატიჟება

— ითქვა, „ალანია“ ქართველებს უსასყიდლოდ მისცემს გათავისუფლების ფურცლებსო — ამის შესახებ ოფიციალურად ხომ არ უთქვამთ თქვენთვის რამე?

— ჩვენი ვარაუდით, ან უსასყიდლოდ გაგვიშვებენ, ან მიზერული თანხის საფასურად. ოფიციალურად კი კლუბის ხელმძღვანელობამ ის გვითხრა, ყველას ინდივიდუალურად დაგელაპარაკებითო. „ალანიას“ ახლა ბევრი ლეგიონერი ჰყავს და ყველას, ალბათ, ვერ შეელევა, ზოგს გაანათხოვრებს.

— ალბათ ნანობ, რომ „ალანიაში“ გადახვედი...

— არა, რადგან მხოლოდ ბოლო ორი თვეა, რაც „ალანიას“ პირველ გუნდში აღარ ვთამაშობ, მანამდე კი თითქმის სულ ძირითადში ვიყავი და შეიძლება ითქვას, სეზონი არ ჩამიგდია. მოვუგეთ „სპარტაკს“ და „კრილიას“, ფრედ ვეთამაშეთ ცეესკას — საკმაოდ სერიოზული მატჩები ვითამაშე, რამაც კარგი გამოცდილება შემძინა. სხვა რომ არაფერი, საქართველოდან გაცილებით სერიოზულ ჩემპიონატში გადავედი.

— შენი და სხვა ალანიელების თბილისის „დინამოში“ დაბრუნებაზე იყო ლაპარაკი...

— როცა სეზონი დამთავრდება და „ალანიას“ ხელმძღვანელობასთან ყველაფერს გავარკვევ, მერე გამოჩნდება, სად წავალ. რამდენიმე ხნის წინ მართლაც ვესაუბრე ამის შესახებ „დინამოს“ მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძეს, მაგრამ ამ ხანმოკლე შვებულებისას „დინამოს“ ხელმძღვანელობას არ შევხვედრივარ.

— „ალანიაში“ დარჩენა გამორიცხულია?

— „ალანიას“ კონტრაქტით კიდევ ორი წელი ვეკუთვნი, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგა 18 გუნდამდეც რომ გაზარდონ და „ალანია“ აღარ გააგდონ, ვლადიკავკაზში დამრჩენი მაინც აღარ ვარ. „ალანია“ არასტაბილური კლუბია, სადაც არაჯანსაღი ატმოსფეროა და ამის გამოც გავარდა პრემიერლიგიდან. დიდი სურვილი მაქვს, კარიერა ისევ უცხოეთში გავაგრძელო.

— „ალანიას“ ძირითადში თამაშისას ეროვნული ნაკრების მწვრთნელი არ შეგხმიანებია, არ დაინტერესებულა შენით?

— ნაკრებიდან არავის დაურეკავს, არც „ალანიას“ თამაშზე ჩამოსულა ვინმე, ხოლო რუსული ტელეარხებით „ალანიას“ თამაში ამ სეზონში, თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთხელ აჩვენეს.

— აგენტი კიდევ არ გყავს?

— ჯერ არა, თუმც იყო შემოთავაზებები სხვადასხვა რუსული სააგენტოებიდან. ერთ-ერთი გერმანული სააგენტოს წარმომადგენელი, მალხაზ მუსელიძეც დამიკავშირდა, რომელმაც ლადო ახალაიას „ციურიხში“ ტრანსფერი განახორციელა.

— მაინც რა შეგძინა რუსეთში თამაშმა?

— უფრო შრომისუნარიანი გავხდი, რუსეთის პრემიერლიგის თამაშებში ერთი წამით ამოსუნთქვის საშუალება არ მქონდა. ორი ტაიმი მერბინოს და ბოლოში არ დავღლილიყავი, ასეთი მანამდე არ მახსოვს. „ალანიაში“ კი 3-5-2 სქემით ვთამაშობდით, მთელი ფლანგის კონტროლი მევალებოდა და მატჩის ბოლოს ვგრძნობდი, რომ ჯანი კიდევ საკმაოდ მქონდა. თანაც „ალანია“ თავს იცავდა, კონტრშეტევაზე თამაშობდა და ასეთ დროს ფლანგელს უფრო დიდი დატვირთვა აქვს, ვიდრე მაშინ, როცა გუნდი ბურთს იჭერს და აგორებს. რუსეთში ძალიან ხისტად თამაშობენ და თუ ფეხი ოდნავ არასწორად ჩადგი, შესაძლოა, ფეხიანად წაგიღონ. გიორგი დემეტრაძეს „ალანიაში“ და რუსეთში ადრეც ჰქონდა ნათამაშევი და როცა ამ სეზონში ერთხელაც მოვიდა „ალანიაში“, მანაც აღიარა, რუსეთის ჩემპიონატში ახლა უწინდელზე გაცილებით მაღალი დონეაო.

— ამ დროისთვის რუსული პრემიერლიგის საუკეთესო მოთამაშედ ვის მიიჩნევ?

— ცეესკას ბრაზილიელ დანიელ კარვალიუს.

— თბილისის „დინამოს“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ივო შუშაკს თუ ეხმიანები?

— შუშაკი ალანიელ ქართველებს ხშირად გვირეკავს, მოგვიკითხავს და გვამხნევებს. მე კი ჩავისაან, „ოსიეკში“ გადასვლა შემომთავაზა და ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. (U-21). პლეი ოფი. I მატჩები

ჩეხეთი 0:2 გერმანია
ინგლისი 1:1 საფრანგეთი
უნგრეთი 1:1 იტალია

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩი**

აიაჩო 0:0 ლანსი

**მეორე დივიზიონი. XVI ტური**

ამიენი 0:2 გენგამი
ბასტია 2:0 გენიონი
შატორუ 1:1 დიჟონი
კრეტეი 4:1 ისტრი
ლავალი 0:2 სედანი
მონპელიე 1:1 გრენობლი
რეიმსი 4:1 კლერმონი
ვალანსიენი 2:1 სეტე
ლეავრი 2:0 კაენი

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი. XVII ტური**

გრააფსხაპი 7:1 ალმერე
ექსელსიორი 4:0 ტელსტარი
დორდრეხტი 1:0 ემენი
ეინდჰოვენი 1:1 სიტარდი
ვოლენდამი 3:0 ჰელმონდი
იგლსი 1:0 აპელდორნი
ჰაარლემი 1:0 ზვოლე
ვეენდამი 4:1 კამბური

## ბელგია

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

დენდერლეუ 0:1 სენტ ტრუიდენი
სტანდარდი 2:0 ოლიმპიკი
ზვარტე 0:3 გენტი

## პოლონეთი

**თასის 1/8 ფინალი. I მატჩი**

ზამოჩი 0:4 ლეგია

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XVI ტური**

კილი 2:2 ემდენი
ესენი 2:1 ჰამბურგი (მ)
ვატენშაიდი 0:4 ვერდერი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა. XV ტური**

მიუნხენი (მ) 0:4 ჰოფენჰაიმი
ტრირი 3:2 აალენი
რეგენსბურგი 0:2 ვეჰენი

## იტალია

**სერია B. XV ტური**

კრემონეზე 0:1 ატალანტა

**სერია C1/A. XI ტური**

ფერმანა 1:1 პადოვა

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XXXII ტური**

ბრეი 3:1 ბოჰემიანსი
დროჰედა 2:0 ფინ ჰარპსი
შემროკი 1:2 უოტერფორდი
შელბურნი 0:0 კორკ სიტი

## ინგლისი

**პირველი ლიგა. XVII ტური**

სუინდონი 2:1 ბრისტოლი

**მეორე ლიგა. XVII ტური**

გრიმსბი 3:1 მაკლსფილდი
მენსფილდი 0:3 ბერი
რაშდენი 0:0 ბოსტონი

## ამხანაგური მატჩები

პარაგვაი 4:2 ტოგო
ირანი 1:2 მაკედონია
ტუნისი 2:2კონგოს დრ
*მატჩი შეწყდა 65-ე წუთზე*

16 ნოემბერი 19:00 საათი თბილისი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი
FIFA
საერთაშორისო ამხანაგური მატჩი
საქართველო — იორდანია
GFF
JFA
გენერალური სპონსორი
კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
საქართველოს ეროვნული გუნდი უძლიერესი შემადგენლობით
ეს არის ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი
ბილეთის ფასი: 2.3 და 5 ლარი
3000 (სამი ათასი) ბილეთი უფასოდ გადაეცემათ საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებს
საინფორმაციო მხარდაჭერა:
ტელეკომპანიები: "იმედი", „საზოგადოებრივი არხი" "პირველი სტერეო";
რადიოები: "უცნობი", "მწვანე ტალღა";
გაზეთები: „სარბიელი", „ოლიმპი", „სპორტი", „მსოფლიო სპორტი", „24 საათი", „რეზონანსი"
პირველი არხი
უცნობი
FM 107.4
სარბიელი
სპორტი
მსოფლიო სპორტი
რეზონანსი
ოლიმპი
24



# შლაგბაუმი აშვეთიას

**მოსკოვის „ლოკომოტივის“** პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „მიხეილ აშვეთიასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ ვაპირებთ“.

არადა, რუსული პრესის ცნობით, „როსტოვში“ განათხოვრებული ქართველი თავდამსხმელი ამ სეზონის ბოლოს „ლოკომოტივში“ უნდა დაბრუნებულიყო და ახალ, სამწლიან კონტრაქტზე უნდა მოეწერა ხელი. ჩანს, ასე არ მოხდება.

შეგახსენებთ, რომ აშვეთია რკინიგზულ კლუბს მომავალი სეზონის ბოლომდე ეკუთვნის, თუმც მსურველები უკვე გამოუჩნდნენ და ალბათ კარიერასაც სხვაგან გააგრძელებს — ჩვენებურით მოსკოვის „დინამო“, „როსტოვი“, ჰოლანდიური „ვალვაიკი“, გერმანული და ფრანგული კლუბები არიან დაინტერესებულნი.

**კახა ზალამბერიძე**

# მიქაძეს რომანცევი ელის, კორღალიძეს კვიპროსი

**ლატვიის** ჩემპიონატი დასრულდა და იქაური ჟურნალისტებიც შედეგების შეჯამებით არიან დაკავებულნი. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონი ლიეპაიას „მეტალურგსი“ გახდა, ამ გუნდის ქართველი ლეგიონერი ლევან მიქაძე კი ლატვიის ჩემპიონატის ყველაზე საიმედო მცველად დაასახელეს.

სხვათა შორის, „მეტალურგსი“ ახალი თავკაცის ძიებაშია, კლუბის ხელმძღვანელობას სერიოზული მიზნები დაუსახავს და საამისოდ რუს მწვრთნელ ოლეგ რომანცევთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ლატვიელი ჟურნალისტების თქმით, დიდი შანსია, „მეტალურგსი“ სწორედ რომანცევმა ჩაიბაროს.

ამასობაში კი, რიგის „სკონტო“, რომელმაც ისტორიაში პირველად დაკარგა ჩემპიონობა, ქართველ ნახევარმცველ ლევან კორღალიძეს ემშვიდობება. მას გუნდის ინგლისელ მწვრთნელ პოლ ეშუორტთან კონფლიქტის გამო საქმეები აერია და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. როგორც შევიტყვეთ, კორღალიძე დღე-დღეზე აიბარგება რიგიდან და ერთ-ერთ კვიპროსულ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

**კახა ზალამბერიძე**



ლევან მიქაძემ პირველივე ლატვიურ სეზონში ჩემპიონობა მოიპოვა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების საფეხბურთო კლუბებს
# საპროგრამო განცხადება

**ნოემბრიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იწყებს საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ახალ სეზონს. ამ მიზნით, 21 ნოემბერს სფფ გეგმავს შეხვედრას საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებთან და ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ პირებთან.**

**საფეხბურთო კლუბებმა 17 ნოემბრამდე სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების მენეჯერს, ლალი ლობჟანიძეს უნდა მიაწოდონ წერილობითი დასტური 2005-06 სეზონში ლიცენზირების პროცესში მონაწილეობაზე, აგრეთვე აცნობონ კლუბში ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია...**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2004-05 წლების სეზონიდან დანერგა საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების სისტემა.

უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტორული ფირმა SGS-ის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემამ მიიღო საერთაშორისო სერთიფიკატი, რომელიც მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების უფლებას ანიჭებს.

2004-05 წლების სეზონში საკლუბო ლიცენზირების პროცესში მონაწილეობა მიიღო 14 კლუბმა. მათ შორის, უმაღლესი ლიგის ათივე და პირველი ლიგის ოთხმა გუნდმა.

უეფას 2005-06 წლების სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიიღო 9 კლუბმა:

1. ს.კ. „დინამო თბილისი“
2. ს.კ. ქუთაისის „ტორპედო“
3. ს.კ. თბილისის „თბილისი“
4. ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“
5. ს.კ. ზესტაფონის „ზესტაფონი“
6. ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია“
7. ს.კ. ბორჯომის „ბორჯომი“
8. თბილისის „ფკ ამერი“
9. ს.კ. თბილისის „სპარტაკი“

სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიაზე უარი ეთქვა ს.კ. ბოლნისის „სიონს“, ხოლო ს.კ. ბათუმის „დინამოს“, ს.კ. ფოთის „კოლხეთი 1913“-ს, ს.კ. გორის „დილას“ და ს.კ. თბილისის „მერანს“ არ მიეცათ ლიცენზია ლიცენზირების პროცესის სრული იგნორირების გამო.

ლიცენზირების სისტემის სრულყოფისას, სფფ-ის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1. ფეხბურთის განვითარების მხარდაჭერა საქართველოსა და ევროპის მასშტაბით.
2. ახალგაზრდების მოსამზადებლად ხელშემწყობი პირობების მაქსიმალური უზრუნველყოფა.
3. კლუბების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერება.
4. კლუბების სტადიონების მოდერნიზაცია ფიფა-უეფას მოთხოვნების, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.
5. სწრაფი ინტეგრაცია ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებთან.

სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემა პასუხობს ევროტურნირებში მონაწილე ყველა კლუბის მიმართ უეფას მიერ დადგენილი საერთო სტანდარტებისა და ნორმატივების თანმიმდევრულად გამოყენების მინიმალურ მოთხოვნებს. კლუბების შეფასების კრიტერიუმები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. ინფრასტრუქტურული
2. სპორტული
3. საკადრო-ადმინისტრაციული
4. სამართლებრივი
5. ფინანსური

საფეხბურთო კლუბებს გაეგზავნებათ ლიცენზირების პაკეტი, კრიტერიუმთა აღწერითა და ნიმუშებით, რომელთა შესრულებაც მათ მისცემს უეფას 2006-2007 წლების სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის უფლებას. ამასთან, სფფ-ის სპეციალისტების მხრიდან მათ მუდმივად გაეწევათ პრაქტიკული დახმარება ამ კრიტერიუმების შესასრულებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტაციის დროულად მიწოდება კლუბებისთვის და კლუბების განაცხადების ეფექტური და ობიექტური განხილვის უზრუნველყოფა.

საკლუბო ლიცენზირების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად სფფ მიზნად ისახავს 2005-2006 წლების სეზონში უზრუნველყოს:

— საკლუბო ლიცენზირების პროცესში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე ყველა (16) კლუბისა და პირველი ლიგის პერსპექტიული 3 კლუბის მონაწილეობა;

— უეფას ახალი მოთხოვნებისა და სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2008-09 წლების სეზონისთვის სფფ-ის საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ეროვნული სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის შემუშავება, რომლის მოთხოვნების შესრულებაც სავალდებულო გახდება კლუბებისთვის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, სახელმძღვანელოს დამტკიცება სფფ-ის აღმასკომზე და აკრედიტირება უეფაში (2006 წ. 31 მარტი).

— სწავლება ლიცენზირების პროცესის მონაწილეთათვის:

ა) სასწავლო-საგანმანათლებლო კურსები საკლუბო ლიცენზირების სისტემის ახალი თანამშრომლებისთვის და საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ იმ პირთათვის, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა 2004-2005 წლების ლიცენზირების სეზონში;

ბ) სემინარი სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემის ექსტრანეტის მოხმარების შესასწავლად;

გ) საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მონაწილეობა სფფ-ის მიერ ფეხბურთის წესებისა და ფეარ პლეის პრინციპების შესახებ ორგანიზებულ სემინარებზე;

დ) აუდიტორული შემოწმების ღირებულების გადახდაში წილობრივ მონაწილეობას.

— საფეხბურთო კლუბებისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერების შეძენა და მათთვის დროებით სარგებლობაში გადაცემა იმასთან დაკავშირებით, რომ 2005-2006 წლების სეზონიდან ფუნქციონირებას იწყებს სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სისტემის ექსტრანეტი და იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ კლუბში არ არის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა.

— არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება, პერსპექტიული სტადიონების გამოვლენა და მათი განვითარების გეგმის შემუშავება სფფ-ისა და საქართველოს პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად.

ამას გარდა, სფფ კისრულობს, შეასრულოს უეფას მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ეროვნულ ნორმატივში და გაიაროს აღნიშნულ ნორმატივთან საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების შესაბამისობის ყოველწლიური ატესტაცია, რომელიც ტარდება უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საერთაშორისო სასერთიფიკაციო ორგანიზაციის მიერ.

სფფ ოპერატიული თათბირებისა და სამსახურებრივი წერილების საშუალებით მუდმივად ჩაგაყენებთ იმ საქმეთა კურსში, რომლებიც ეხება პროგრამის განხორციელებას. დასახული მიზნების რეალიზაციაში თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს და გამოვთქვამ მზადყოფნას, განვიხილო ნებისმიერი თქვენი წინადადება ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

***საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი***
***ნოდარ ახალკაცი***

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

13 ტური ანონსი

# ჩვენ ერთნი ვართ ქვეყანაზე
## ტურის ფონი ნაკრებია



პაატა დათუნაიშვილის „ვიტ ჯორჯია“ და როინ ონიანის „ლოკომოტივი“ მცხეთაში შეიბმებიან

თელავი. 13 ნოემბერი. 14 საათი. გივი ჩოხელი

**კახეთი — ამერი**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ვადაჭკორია (თბილისი); ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

თბილისი. 13 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპიკი

**ბორჯომი — ტორპედო**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ხ. გაგნიძე (გორი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 13 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპი

**თბილისი — სოხუმი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); გ. ასკაროლლი (ქარელი); ინსპექტორი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 13 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული

**დინამო — ბათუმი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გორი. 13 ნოემბერი. 14 საათი. ქართლი

**ცხინვალი — დილა**

მსაჯები: ა. მეშკოვი; დ. ხარიტონაშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ს. კუტივაძე

მცხეთა. 13 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი**

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თბილისი. 14 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი

**სპარტაკი — სიონი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ა. ნონიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ზესტაფონი. 14 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — კოლხეთი**

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

*აბა, გავიხედოთ, რომელ ქვეყანაში ტარდება ეროვნული ჩემპიონატის ტური ამ უქმეებზე? უმაღლესლიგელებს თუ ჩავთვლით, მხოლოდ ბრაზილიაში, ისიც იმიტომ, რომ მათი მძლეთამძლე ნაკრები ამხანაგურში არაბეთის საემიროების წყალწაღებულ გუნდს ხვდება, სხვაგან სულ შესვენებებია, რადგან სანაკრებო დღეებია.*

*საქართველოში კი მაინც ტარდება ტური და, ცხადია, ბულგარეთთან და იორდანიასთან მატჩებისთვის გამოძახებული ფეხბურთელები თავ-თავიანთ კლუბებს დააკლდებიან. ალბათ მარტივი გამოსავალი იქნებოდა ტურის გადადება, მაგრამ არ გადადეს და ჩვენც მივყვეთ...*

### ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

ტურის მთავარმატჩი ბევრგოლიანობას არ გვპირდება — ალბათ, ერთი-ორი ბურთის თამაში იქნება. „ვიტ ჯორჯია“ ეგებ ფავორიტად ჩაგვეთვალა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ოთარ მარცვალაძე ნაკრებშია გამოძახებული და მცხეთაში ვერ ითარეშებს. ორივე გუნდი ისეთია, თუ დაწინაურდა, ძნელად შემოუბრუნებ თამაშს. ცხადია, ბევრი იქნება დამოკიდებული რკინიგზელ ირაკლი სირბილაძეზე და ვიტელები ეცდებიან, იგი მაღალ ბურთებზე არ ანადირონ. „ვიტ ჯორჯიამ“ თუ მოიგო, ყოჩობას შეინარჩუნებს, თუ ვერა და... ბოლნისის „სიონსაც“ ეგ არ უნდა?!

ისე, შეგახსენებთ: შარშანდელ სეზონში ჩემპიონატ-თასიანად „ლოკომოტივმა“ ზედიზედ ოთხჯერ მოუგო „მწვანეებს“.

### კახეთი — ამერი

კახელებმა წინა საშინაო მატჩი „კოლხეთთან“ ნისლში და კუკუდამალობანაში მოიგეს. საერთოდაც, თელაველები ბოლო დროს ყველა სტუმარს უქულოდ აბრუნებენ სახლში, მაგრამ „ამერთან“ ტრადიციის გაგრძელება გაუჭირდებათ — გიორგი ჩიხრაძის ბიჭებმა ზედიზედ ოთხი თამაში მოიგეს, ამბიციებიც თელაველებზე მეტი აქვთ და გაქანებაც...

### დინამო — ბათუმი

„დინამო“ ფორმაში შევიდაო, იმდენი ვიძახეთ, სანამ საჩხერის „ჩიხურას“ სათასო მატჩში 0:0-ზე არ გაეყარა. მაინც ვფიქრობთ, რომ ხვალინდელი თამაში ერთი გუნდისა იქნება — ეს „ბათუმი“ ის გუნდი ვერაა, დინამოელებს „ეროვნულზე“ ტოლ-სწორად ებრძოლოს. კახა ცხადაძე თავდასხმაში, ალბათ, ისევ მელქაძე-ბობოხიძე-მეგრელაძის ტრიოს დააყენებს. „დინამომ“ თუ მოიგო, შესაძლოა, სამეულშიც ამოყოს თავი.

### ცხინვალი — დილა

„დილას“ სტუმრად ჯერ ქულაც არ უშოვია, მაგრამ ახლა „ნახევრად სტუმრად“ თამაშობს — საკუთარ ქალაქში, ოღონდ „ქართლზე“. „ცხინვალს“ კი, მოგეხსენებათ, შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი პატრონობს. ერთი ხანობა იგი „დილას“ შესაძლო მეპატრონედაც მიიჩნეოდა, მაგრამ ბატონი ქარელი ერთ გუნდსაც ძლივს აუდის.

ერთი სიტყვით, დერბია, დერბი...

### თბილისი — სოხუმი

ვითომ გამოდგება „სოხუმი“ ის ხავსი, რომელსაც „თბილისი“ მოეჭიდება? არადა, დროა, თორემ გიორგი დევდარიანის გუნდმა ხვალაც თუ წააგო, ცალი ფეხით უკვე პირველ ლიგაში იქნება. სოხუმელებს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჰყავთ, ჭაბუკ თბილისელებს მამისტოლებად რომ ერგებიან — მოკლედ, ასაკში ვეება სხვაობაა, თამაშში?..

### ბორჯომი — ტორპედო

სოსო ფრუიძის გაწვრთნილი „ბორჯომი“ საშუალო და დაბალი კლასის გუნდებს იოლად ერევა, გოლების კასკადსაც არ თაკილობს და „ტორპედოსთანაც“ ეგებ ეს აქვს გულში ჩადებული, თუმც ქუთათურები ბოლო ტურებში გამოფხიზლდნენ, რამდენიმე დაუგეგმავი ქულაც აკრიფეს და ამას წინათ არ იყო, ლიდერი „ვიტ ჯორჯიაც“ რომ წააბორძიკეს?!

### ზესტაფონი — კოლხეთი

ეს მატჩი კვირის ნაცვლად ორშაბათს გაიმართება, რათა სანაკრებო ზესტაფონელებმა ბულგარეთიდან ჩამოუსწრონ, თუმც ეჭვი კი გვეპარება, აქეთ-იქით ნამგზავრმა და ნათამაშებმა კაცმა ბდღვირი აადინოს მინდორს...

და კიდევ, „ზესტაფონს“ უბრუნდება თემურ მახარაძე — ხვალ სწორედ იგი გაიყვანს გუნდს „კოლხეთთან“.

### სპარტაკი — სიონი

სპარტაკელთა თავკაცმა გიგლა იმნაძემ ორი ტურის წინ, „ბორჯომთან“ წამყვანი მოთამაშეები დაასვენა, სულერთია, მაინც წავაგებთო, ამას წინათ კი „ამერთან“ ისევ დააბრუნა ლიდერები და კაი გვარიანი ბრძოლაც გამართა. საკითხავია, ახლა რას გადაწყვეტს იმნაძე? ისე კი, ვეთანხმებით მწვრთნელს: ძლიერ გუნდებთან „სპარტაკი“ ძალიან უსუსურია და, ალბათ, ხვალაც ასე იქნება. თანაც „სიონი“ დიდ გულზეა — როგორია, „ვიტ ჯორჯიას“ ვერმოგების შემთხვევაში, ბოლნისელები ცხრილის კენწეროს დაუბრუნდებიან...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 2 | 1 | 28:9 | 29 |
| სიონი | 12 | 9 | 1 | 2 | 23:10 | 28 |
| ლოკომოტივი | 12 | 8 | 3 | 1 | 18:3 | 27 |
| დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 18:6 | 25 |
| ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 13:7 | 25 |
| ბორჯომი | 12 | 8 | 0 | 4 | 23:10 | 24 |
| ბათუმი | 12 | 6 | 2 | 4 | 12:9 | 20 |
| კოლხეთი | 12 | 6 | 0 | 6 | 13:13 | 18 |
| ზესტაფონი | 12 | 5 | 3 | 4 | 10:11 | 18 |
| დილა | 12 | 5 | 0 | 7 | 15:14 | 15 |
| კახეთი | 12 | 5 | 0 | 7 | 12:18 | 15 |
| ცხინვალი | 12 | 3 | 1 | 8 | 7:21 | 10 |
| სოხუმი | 12 | 3 | 1 | 8 | 11:27 | 10 |
| ტორპედო | 12 | 2 | 4 | 6 | 8:13 | 10 |
| სპარტაკი | 12 | 1 | 1 | 10 | 2:20 | 4 |
| თბილისი | 12 | 0 | 0 | 12 | 4:25 | 0 |

# ამხანაგური მატჩები. დღეს

## ინგლისი — არგენტინა

### სავარაუდო შემადგენლობები

| ინგლისი | არგენტინა |
|---|---|
| რობინსონი, იანგი, ფერდინანდი, ტერი, ბრიჯი, ბექემი, ლამპარდი, ჯერარდი, კინგი, ოუენი, რუნი | აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, სამუელი, სორინი, მაქსი როდრიგესი, დემიკელისი, კამბიასო, რიკელმე, კრესპო, სავიოლა |

მსაჯი: ფილიპ ლეუბა (შვეიცარია)



დევიდ ბექემთან ერთად ინგლისელთა ძირითადში რიო ფერდინანდიც გამოჩნდება

# ნეიტრალურ მიწაზე ამხანაგური არ არსებობს

**ინგლისის** ნაკრები ერთი ხმაურით ემზადება არგენტინასთან მატჩისთვის. ამას ამ გუნდების შეხვედრათა დიდი ისტორია განაპირობებს, თუმცა, ახლა ამ ისტორიას არ მოვყვებით. ისიც კი სიმბოლურია, რომ გუნდები ნეიტრალურ მიწაზე ჟენევაში ხვდებიან ერთმანეთს. სიმბოლოების გარეშე კი ჟენევა მარტივი მიზეზის გამო შეირჩა. არგენტინელთა სრული უმრავლესობა ევროპაში თამაშობს და ჟენევა ოპტიმალური ჩასასვლელი ადგილი გამოდგა.

ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში, ინგლისელთა კაპიტანმა დევიდ ბექემმა თქვა, რომ არგენტინასთან ამხანაგურად თამაში არ არსებობს და ძალიანაც რომ მოინდომო, არ გამოვა. სხვათა შორის, ბექემი 50-ე კეპს მიიღებს ამ მატჩის წინ.

ის, რომ ამხანაგური თამაში არ გამოვა, გაბრიელ მილიტოს სიტყვებიც ამტკიცებს. არგენტინელი ჰარდმენი ინგლისელ ფორვარდებს მწარე საათნახევარს ჰპირდება. ტრავმირებული მანჩესტერელი გაბრიელ ჰაინცე კი ყოველდღე ელაპარაკება ნაკრების მწვრთნელ ხოსე პეკერმანს. პეკერმანმა იცის, რომ ჰაინცე უკვე შინაური კაცია ინგლისურ ფეხბურთში და ნაკრების შიდა სამზარეულოს შესახებ საჭირო ინფორმაციას აწვდის არგენტინელებს. ინგლისი რომ ძალაა, ამის შესახებ ხუან რომან რიკელმეც ლაპარაკობს. მან თქვა, რომ ყველა დიდმა საფეხბურთო ნაკრებმა იცის, რომ 2006 წელს ინგლისი უდიდესი წინააღმდეგობა იქნება ნებისმიერისთვის.

თავის მხრივ, სვენ-გორან ერიკსონს მიაჩნია, რომ მთავარი მეტოქე მისთვის მსოფლიოს თასზე სწორედ არგენტინაა. ხოსე პეკერმანი კი თვლის, რომ დღევანდელი მატჩი უმნიშვნელოვანესი ტესტია მისი გუნდისთვის.

რობერტო აიალა კი ამბობს, რომ ინგლისელებს მსოფლიოში საუკეთესო თავდასხმა ჰყავთ. 32 წლის აიალა ის კაცია, ვინც 1998 წლის მსოფლიოს თასზე ყრმა მაიკლ ოუენმა გააბითურა და თავისი ყველაზე ცნობილი გოლიც ამ დრიბლინგის შემდეგ გაიტანა. ის თამაში არგენტინამ პენალტებით მოიგო. აიალა კი ამბობს: „რუნი-ოუენი განსაკუთრებული წყვილია. შვიდი წლის წინათ ოუენი ისეთი იყო, როგორც ახლა რუნია: ცინცხალი, ამაღელვებელი და ახალგაზრდა. ჩვენ ვიცით მათი ტალანტები. შესახებ. რუნისთანა კარგა ხანია არ მინახავს. ტიპიური ინგლისელი არც არის. ცოტა უხეშია, მაგრამ ეს რომ მოაშოროს, დიდი მოთამაშე შეგრჩება ხელთ. რუნი მსოფლიოს თასისთვის ემზადება. მე მას პატივს ვცემ“.

ოუენი კი ამბობს, რომ ინგლისის ნაკრებში მეტი ვარსკვლავია, ვიდრე მადრიდის „რეალში“. ამასთან მაიკლი ფანებს მოუწოდებს, რომ ყველანაირად მხარი დაუჭირონ ახალბედა პიტერ კროუჩს, რომელსაც ავსტრიელებთან მატჩისას „ოლდ ტრეფორდზე“ უსტვინეს. შარშან „საუთჰემპტონის“ მთავარმეგოლეს, კროუჩს „ლივერპულში“ გადმოსვლის შემდეგ ფეხი დაეთარსა — გოლი ვეღარ გააქვს. ოუენმა კი თქვა: „ზოგიერთის შეფუცხუნება უხდება, პიტერს კი პირიქით, ხელს უშლის“.

ზედ თამაშის წინ ირკვევა, რომ ინგლისელთა დაცვაში ჯონ ტერის მეწყვილედ აქამდე შერისხული რიო ფერდინანდი იქნება. ჩანს, ერიკსონი კვლავ ენდო რიოს, სოლ კემპბელი კი სკამზე დასვა. ამბობენ, რომ შვედმა ორივე ფეხბურთელს აუხსნა თავისი გადაწყვეტილების არსი. ფერდინანდმა კარგად ითამაშა „ჩელსის“ წინააღმდეგ გასულ კვირას, 31 წლის კემპბელი კი ალბათ იმედგაცრუებულია. 1996 წლიდან მოყოლებული, სადაც ის შემცვლელად იყო, სოლს არც ერთი დიდი შეჯიბრი არ გაუცდენია. ბოლო ოთხი ევრო და მსოფლიო შეჯიბრში კი შეუცვლელად იდგა 16 თამაშში.

მოკლედ, დღეს, ჟენევაში ამხანაგურად, მაგრამ ძალიან საინტერესოდ ითამაშებენ: არგენტინა და ინგლისი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფეხბურთი ბარიკადებში

## საფრანგეთი — გერმანია

### სავარაუდო შემადგენლობები

| საფრანგეთი | გერმანია |
|---|---|
| კუპე, სანიოლი, ტურამი, ბუმსონგი, გალასი, მაკელელე, ვიეირა, დორასო, მალუდა, ანრი, ტრეზეგე | ლემანი, ფრიდრიხი, მერტესაკერი, ჰუტი, იანსენი, დაისლერი, ბალაკი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი, კლოზე, პოდოლსკი |

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

**დღეს**, „სტად დე ფრანსზე“ საფრანგეთი გერმანიას მასპინძლობს და, როგორც ამბობენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ნაწვალები წელიწადის კარგად დასრულებას გეგმავს. კიდევ, იმასაც ამბობენ, რომ ფრანგთათვის გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლო განწყობის შექმნას დიდი მეცადინეობა არ სჭირდება — მოგეხსენებათ, 1982 და 1986 წლების მუნდიალებზე ეს ქვეყნები ნახევარფინალებში შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ გერმანელებმა მოიგეს. აი, რაც შეეხება მასპინძელთა ფიზიკურ ფორმას, ეს მართლაც საკითხავია — გუნდი სამი დღის წინ დედამიწის მეორე ბოლოში, კუნძულ მარტინიკაზე იყო, იქ კოსტა რიკას ეთამაშა და 3:2 მოუგო. ერთი სიტყვით, ფრანგები შესაძლოა, მგზავრობით გადაქანცულები იყვნენ.

რაც შეეხება ფრანგთა და გერმანელთა ბოლო დაპირისპირებას, ეს ორი წლის წინ, გელზენკირხენში მოხდა, სადაც ფრანგებმა 3:0 მოიგეს. იმ მატჩის გმირი ტიერი ანრი გახლდათ.

და კიდევ ერთი მომენტი: მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ პარიზში არეულობებია, მაინც ჩატარდება. სენ დენიში გაძლიერებული რაზმები ჩადგებიან, ხოლო გერმანიის ნაკრებს საგანგებო დაცვა ჩაჰყვება. როგორც გერმანელთა მენეჯერმა ოლივერ ბირჰოფმა ვანაცხადა, ისინი თავს იზღვევენ და შემთხვევითობას არ ენდობიან.

გერმანიის გუნდში კი მიხაელ ბალაკი და მიროსლავ კლოზე ბრუ-



ფრანგებთან ბუნდესნაკრების კარს იენს ლემანი (შუაში) დაიცავს

ნდებიან. ბოლო ორ ამხანაგურში იურგენ კლინსმანი ამ ორი მოთამაშის გარეშე იყო და თურქეთთან 1:2 წააგო, ხოლო ჩინეთთან 1:0 მოიგო. ბოლოს და ბოლოს, დროა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა ნამდვილად დიდი საფეხბურთო ქვეყნის ნაკრებს მოუგონ. სტატისტიკოსები ამბობენ, რომ ბოლო ასეთი გამარჯვება 2000 წლის ოქტომბერში იყო, როდესაც გერმანიამ „უემბლიზე“ ინგლისი დაამარცხა 1:0.

„მატჩის წინ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი — განაცხადა იურგენ კლინსმანმა — ჩემი მოთამაშეები ბოლო ორი-სამი კვირაა უკეთ თამაშობენ. სეზონის მესამედმა რომ ჩაიარა, ფეხბურთელებმა თავიანთ რიტმს მიაგნეს“.

გერმანელებს დაშავებული ჰყავთ კრისტოფ მეცელდერი, ანუ დაცვის ცენტრში სავარაუდოდ პერ მერტესაკერი და რობერტ ჰუთი იქნებიან.

რაც შეეხება გოლკიპერს, კლინსმანმა ამასწინათ ქვეყნის მთავარ მეკარედ ოლივერ კანი გამოაცხადა, მაგრამ ეს თურმე, როტაციის პრინციპის უარყოფას არ ნიშნავს და ამიტომ დღეს კარში იენს ლემანს უნდა ელოდოთ.

**პაპუნა ქედია**

# მოდი, ლაღად ვითამაშოთ

## ჰოლანდია — იტალია

### სავარაუდო შემადგენლობები

| ჰოლანდია | იტალია |
|---|---|
| ვან დერ სარი, კრომკამპი, ბულარუზი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ლანძაატი, კოკუ, კაირო, ვან დერ ვაარტი, კუიტი, ვან პერსი (ან ბაბელი) | აბიატი, ძაკარდო, ნესტა, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, გატუზო, პირლო, დელ პიერო, ჯილარდინო, ტონი |

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**ამსტერდამში** ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება. სპეციალისტების აზრით, ჰოლანდიისა და იტალიის დაპირისპირება უხვგოლიანი უნდა გამოდგეს. ორივე გუნდს დამატებითი კომპლექსი მოხსნილი აქვს, მათ მუნდიალზე ადგილი გარანტირებული აქვთ და ერთგვარ ექსპერიმენტებს მიმართავენ. შედეგად, „ნარინჯისფერებიც“ და „სკუადრა ადზურაც“ ლაღი ფეხბურთის თამაშს აპირებენ.

ორივე ნაკრებში გარკვეული დანაკლისია. მარჩელო ლიპის სამი დღის მანძილზე სამი ფეხბურთელი დააკლდა. ვარჯიშისას ჯერ ანჯელო პერუცი დაშავდა, მერე ფრანჩესკო ტოტი, ხოლო გუშინ — კრისტიან ვიერი. ეს სამეული კოტ დივუართან ამხანაგურ შეხვედრასაც გამოტოვებს.

ფრანჩესკო ტოტის ტრავმა, ცხადია, არ ესიამოვნა ლიპის, რომელმაც „რომას“ კაპიტანს ცოტა ხნის წინ შეუცვლელი უწოდა. ამის გამო, ჭკლარა ტაქტიკოსმა ვებ სისტემა 4-3-1-2 4-4-2-ად გადააწყოს. ორივე შემთხვევაში ძირითად შემადგენლობაში იქნება ალესანდრო დელ პიერო, რომელიც ლუკა ტონისა და ალბერტო ჯილარდინოს უკან იმოქმედებს, ხოლო სათადარიგოთა სკამზე ვინჩენცო იაკინტა იჯდება.

მოულოდნელმა ტრავმამ ძალიან დაამწუხრა კრისტიან ვიერი. „ბობოს“ მუნდიალზე გამგზავრება ერთობ საეჭვოა და მას არც ისე ბევრი დრო რჩება, რათა ლიპის თავი მოაწონოს



ალესანდრო დელ პიეროს (მარცხნივ) მარჩელო ლიპიმ ნდობა გამოუცხადა

უშუალოდ ნაკრების შემადგენლობაში. გერმანიაში გამგზავრებამდე იტალიელებს სულ რამდენიმე ამხანაგური თამაში დარჩათ და იმიტომ.

არანაკლები დანაკლისი აქვთ ჰოლანდიელებსაც: რუუდ ვან ნისტელროი ასევე ვარჯიშისას დაშავდა და სულ ცოტა სამი-ოთხი დღე დაისვენებს. მარკ ვან ბომელმა კი ტრავმა „ბარსელონაში“ მიიღო და ორი თვე მოუწევს უქმობა.

მიუხედავად ამისა, მარკო ვან ბასტენს ფართო არჩევანი აქვს. იგი აქცენტს ალბათ ახალგაზრდებზე გააკეთებს. „ნარინჯისფერთა“ მთავარი იარაღი რაფაელ ვან დერ ვაარტის, დირკ კუიტისა და რობინ ვან პერსის სამეული იქნება.

შეგახსენებთ, რომ ეს ნაკრებები ბოლოს ერთმანეთს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე შეხვდნენ. ის თამაში ულრესად დაძაბული და საინტერესო იყო. ტურნირის მასპინძელმა ჰოლანდიელებმა ძირითად დროში ორი პენალტი გააფუჭეს, ხოლო პენალტების სერიაში „სკუადრა ადზურამ“ იძლია.

**ქოქი ქანდელაკი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. პირველი მატჩები. დღეს

## ესპანეთს ეშინია, მაგრამ 3:0-ს ამბობს



ესპანელებს სლოვაკებთან შეხვედრაში ბევრი გოლი სჭირდებათ

### ესპანეთი — სლოვაკეთი

საუარაუდო შემადგენლობები

| ესპანეთი | სლოვაკეთი |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, პაბლო, პუიოლი, დელ ორნო, ხავი, ალბელდა, ხაბი ალონსო, რეიესი, რაული, ფ. ტორესი | ჩონტოფალსკი, შკრტელი, კრატოხვილი, ჰადი, პეტრაში, კარჰანი, ჰოდური, ვალახოვიჩი, ჰლინკა, ნემეტი, ვიტეკი |

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

**მოვიდა** დრო, რათა გაირკვეს, გერმანიის მუნდიალზე მოხვედრას ვინ იმსახურებს. დღეს ლუის არაგონესის ესპანეთის ნაკრები „ვისენტე კალდერონზე“ სლოვაკეთის ეროვნულ გუნდს დაუხვდება. კასტილიელები ორრაუნდიან საპლეიოფო ჯახში ფავორიტებად ითვლებიან, თუმც არაგონესის ბიჭებს შესარჩევში მიღებული მწარე გამოცდილება მოედანზე „ჩაძინების“ უფლებას არ აძლევს, მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში ხომ ესპანეთი დიდმა თუ პატარამ თავიდანვე ლიდერად გაამწესა, მაგრამ ბოლოს სერბეთმა ცხრილში პირინეელებს ორი ქულით გადაასწრო და მუნდიალის საგზური გაინაღდა.

1974 წლის მერე ესპანეთს არც ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი არ გამოუტოვებია. მაშინდელი „ფურია როხა“ (ესპანური ქარიშხალი) პლეიოფში იუგოსლავიის ნაკრებს დაეჩაგვრინა და გერმანია 74-ის გარეშე დარჩა. გაგიკვირდებათ, მაგრამ დღევანდელი ესპანეთის ეროვნული გუნდი, რომელსაც „ბებერი ლუისის“ თავკაცობით არც ერთი თამაში არ წაუგია, შეიძლება მუნდიალზე ვერ მოხვდეს. ფრეები კი იცოცხლე, ბევრი დაუგრვდათ — ბოლო 10 ოფიციალურ შეხვედრაში არაგონესის სულაც ხუთჯერ დაუზავდა მეტოქეებს.

რა უბედურება გვჭირს, სახიფათო მომენტებს უხვად ვქმნით, მაგრამ გოლები ცოტა გაგვაქვსო — ჩიოდა ესპანური მედია და ამ პრობლემის, ანუ უგოლობის გადაწყვეტას სლოვაკებთან რაულის და ფერნანდო ტორესის დუეტი ეცდება.

ხაბი ალონსო და ხავი ერნანდესი ბურთს ცენტრში გააკონტროლებენ, რათა სლავმა მეტოქემ მოულოდნელად არ აიწყვიტოს. მცველი კარლოს მარჩენა გუშინდლამდე ცოტა უქეიფოდ გახლდათ და ჯერჯერობით არავინ იცის, არაგონესი ვალენსიელს მოედანზე გაიყვანს თუ არა. მართალია, რაულმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის მცირე ტრავმა მიიღო, თუმცა „რეალის“ კაპიტანი სერიოზულად არ დაშავებულა და სლოვაკებთან ომს მოახერხებს.

ხოსე ანტონიო რეიესმა კი მთელი კასტილიური არმადის სურვილი მოკლედ ასე გამოხატა, „3:0-ს მოვიგებთ“. თუ რეიესის ძმაბიჭებს მოგება მართლა უნდათ, შაბათს „კალდერონზე“ რაც შეიძლება, მეტი გოლი უნდა შეყარონ. ოთხი დღის მერე ბრატისლავაში განმეორებითი მატჩია, შინ კი სლოვაკები თამაშებს 2003 წლის ივნისის მერე არ აგებენ...

სლოვაკთა ბანაკს ბოლო დრომდე მიროსლავ კარჰანისა და მარტინ შკრტელის ტრავმიანობა აწუხებდა, თუმცა ისინი უკვე მომჯობინდნენ და დღეს აუცილებლად ითამაშებენ. სწორედ ეს კარჰანი იყო, მადრიდში ჩასვლისთანავე რომ იყვირა — რეიესს და ყველა დანარჩენ ესპანელს ჩვენი ეშინია და ჰაერში გამოკიდული 3:0-ით წინასწარ თავს ინუგეშებენო.

სტუმართა ყველაზე დიდი დანაკლისი კი „ნიურნბერგის“ ფორვარდი მარეკ მინტალია, რომელმაც გასული სეზონის ბუნდესლიგის საუკეთესო მეგოლეობა მოიხვეჭა და სლოვაკეთშიც სიგიჟემდე უყვართ.

მადრიდში ერთი „ესპანელი კაცი“, „ტენერიფეს“ მეკარე მარიან კელემანიც ჩავიდა — „არტმედიას“ გოლკიპერი ჟურაჟ კობეჟი დაშავებულია და იმიტომ. კელემანი სლოვაკთა ძირითადი მეკარის, კამილ ჩონტოფალსკის სათადარიგო გახლავთ. დუშან გალიჩის ნაკრებმა თავის შესარჩევ ჯგუფში რუსეთის საკმაოდ ძლიერი გუნდი დაიჩრდილა და, ცხადია, დანებებას არც ესპანეთთან აპირებს.

ესპანეთი და სლოვაკეთი ერთმანეთს ადრე, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევშიც შეხვდნენ — სამხრეთელებმა ორივე ჯახი 4:1 და 2:1 მოიგეს. მაშინდელი თამაშებიდან დღეს მოქმედი ფეხბურთელები მხოლოდ კასტილიელი რაული და სლავი კარჰანი არიან.

**ლადო ხომერიკი**

### ურუგვაი — ავსტრალია

საუარაუდო შემადგენლობები

| ურუგვაი | ავსტრალია |
|---|---|
| მუნუა, დიოგო, მონტერო, დ. როდრიგესი, ვარელა, პაბლო გარსია, ეშტოიანოფი, პოუსო, რეკობა, რ. მორალესი, დარიო სილვა | შვარცერი, მილიჩევიჩი, ვიდმარი, პოპოვიჩი, ნაილი, გრელა, ჩიპერფილდი, სკოკო, ჩეჰილი, ალოიზი, ვიდუკა |

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

## საშიშზე საშიში კაცი

### ურუგვაი იუბილეს არ ჩაიმწარებს

**ოთხი** წლის წინ მონტევიდეოს „სენტენარიოზე“ ურუგვაისა და ავსტრალიის ნაკრებები მუნდიალზე მოსახვედრად საპლეიოფო ჯახში ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს. 2001 წლის 25 ნოემბერს სამხრეთამერიკელებმა დარიო სილვასა და რიჩარდ მორალესის გოლებით ავსტრალიელები 3:0 დაამარცხეს და კორეა-იაპონიის საგზური მოიპოვეს. დღეს, „სენტენარიოზე“ დარიო სილვაც იქნება და რიჩარდ მორალესიც.

მოგეხსენებათ, ავსტრალიის ბედი ბოლო ოთხ მუნდიალზე გასასვლელ ომში უცვლელი რჩება — 1985 წელს ოკეანეთის რაინდმა შოტლანდიასთან წააგო, 93-ში არგენტინასთან, ოთხი წლის მერე ირანთან დაეცა და 2001-ის ურუგვაელი კრახზე უკვე მოგახსენეთ...

შინაურ არენაზე თამაში ურუგვაის ნაკრებს მხრებზე მძიმე ტვირთად აწვება — ინჩასობა მშობლიურ „სელესტეს“ უცილობელ გამარჯვებას სთხოვს.

„სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში კოლუმბია და არგენტინა დავამარცხეთ, ამ ავსტრალიასაც ასე თუ ისე მოვუვლით“ — განაცხადა ხორხე ფოსატიმ, დამხვდურთა დამრიგებელმა. ურუგვაის „სენტენარიოზე“ მიჯრით ხუთი თამაში არ წაუგია.

მასპინძლებს ტრავმირებულ მოთამაშეთა შემცვლელების ძებნა მოუწევთ — მეკარეები, სებასტიან ვიერა და ფაბიან კარინი დაშავებულნი არიან. სავარაუდოდ, მონაწილეობას ვერც ფოსატის ჯილა, მთავარმეგოლე დიეგო ფორლანი მიიღებს და ვერც დიეგო ლოპესისა და მარსელო სოსას წყვილი. მიუხედავად ამისა, „სელესტე“ სამკვდრო-სასიცოცხლო ომისთვისაა განწყობილი.

„გერმანია 2006-ზე აუცილებლად ვიქნებით. ავსტრალია კი არა, მსოფლიოს ნაკრები რომ გვეთამაშოს, მონტევიდეოში არავითარი შანსი არ ექნება“ — განაცხადა ალვარო რეკობამ, მილანის „ინტერის“ სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა.

ავსტრალიელებს კი ერთი საშიშზე საშიში კაცი ჰყავთ — ჰოლანდიელი დამრიგებელი გუს ჰიდინკი. გეხსომებათ, ამ სპეციალისტმა წინა მუნდიალზე მასპინძელი სამხრეთ კორეა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა და



ავსტრალიელებს შესაძლოა, ტრავმირებული ჰარი კიუელი (მარჯვნივ) დააკლდეთ

ეგებ ხეირი ავსტრალიასაც ანახოს. თუმც ჰიდინკის გუნდს ტრავმები მისძალებია: ნაკრების კაპიტანი კრეიგ მური, ასევე ნახევარმცველები, სტენ ლაზარიდისი და ჰარი კიუელი ურუგვაელებთან ვერ ითამაშებენ.

„მოქნილი გუნდი შევკრიბეთ. ვიცი, რომ მონტევიდეოში იქაური ფანები ჯოჯოხეთს მოგვიწყობენ, თუმც ბიჭებს ეს ნაკლებად აწუხებთ და მოგებას ეცდებიან“ — თქვა გუს ჰიდინკმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

ჰოლანდიელმა იცის, რასაც ამბობს — წარმოიდგინეთ, 55 ათასი გიჟმაჟი ურუგვაელი ინჩასი გადამთიელებს როგორ აგინებს და თავადაც მიხვდებით, ავსტრალიის ნაკრებს სად უწევს „ხმალის მოქნევა“. ჯონ ალოიზიმ, სტუმართა თავდამსხმელმა კი აღნიშნა, მასპინძელთა ნერვებზე ვითამაშებთო.

„იმათთვის ფეხბურთი ყველაფერია. შეცდომის სიკვდილივით ეშინიათ, რადგანაც მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დარჩენა ვერაფრით წარმოუდგენიათ. ჩვენ კი ამით ვისარგებლებთ და ურუგვაელების კონტრშეტევებზე დაჭერას ვეცდებით“ — განაცხადა ალოიზიმ.

და ერთიც: ურუგვაის წლეულს საიუბილეო თარიღი აქვს — ზუსტად 75 წლის წინ ამ ქვეყნის ნაკრებმა პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ასეთ დროს კი წაგება, მოგეხსენებათ, არავის უნდა.

**ლადო ხომერიკი**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. პირველი მატჩები. დღეს

## შვეიცარია — თურქეთი

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ცუბერბიულერი, დეგენი, მიულერი, სენდეროსი, მანინი, გიგაქსი, ფოგელი, კაბანასი, ბარნეტა, ფრეი, შტრელერი | ვოლქანი, ფათიჰი, იბრაჰიმი, ალფაი, უმით ოზატი, ნიჰათი, სელჩუკი, ჰუსეინი, თუმერი, შუქური, ჰალილ ალტინტოპი |

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

# იმპერატორის საიდუმლო იარაღი

## თურქებს ტრუსები დაუსველდათ?





ფათიჰ თერიმის თურქეთს კობი კუნის შვეიცარიასთან რთული მატჩი ელის

**„თურქებმა** შიშისგან ჩაისვარეს“, „ჩვენ მდიდრები ვართ, ისინი კი — ღარიბები და მშივრები“ — აი, ასეთი ომი წამოიწყო შვეიცარიულმა მედიამ მატჩის წინ, რომელიც ბერნში გაიმართება. ბერნი კი ის ქალაქია, სადაც 1995 წლის 26 აპრილს თურქებმა შვეიცარიას ფათიჰ თერიმის სარდლობით 2:1 მოუგო და ევრო 96-ის საგზური მოიპოვა.

ახლა „იმპერატორად“ წოდებული თერიმი ათი წლის შემდეგ ოსმალოებს კვლავ ჩაიყვანს შვეიცარიაში, ამჯერად პლეი ოფის პირველ მატჩში. ოსმალოებს, რომლებიც ეფექტური ნახევარმცველებით გამოირჩევიან, შუახაზში გვარიანი პრობლემები აქვთ. ემრე და ჰამიტ ალტინტოპი დისკვალიფიცირებულნი არიან, ჰასან შაში, ილდირაი ბაშთურქი, იბრაჰიმ აკინი და თოლგა სეიჰანი — ტრავმირებულები.

რას აპირებს „იმპერატორი“ ასეთ ვითარებაში? ნახევარდაცვაში ნიჰათს, სელჩუკს, ჰუსეინს და თუმერ მეთინს გაამწესებს. ეს იდეალური ვარიანტი არაა, მაგრამ ამ ოთხეულში მთავარი კაცი თუმერ მეთინია. მან შესარჩევ მატჩებში გაუტანა სტუმრად დანიას და თურქეთი 2:1 დააწინაურა, მაგრამ შეხვედრა 2:2 დასრულდა. შემდეგ — გასვლაზე, უკრაინასთან ისევ თუმერ მეთინის გოლით ოსმალოებმა 1:0 იმარჯვეს და ბოლოს — გადამწყვეტ შეხვედრაში, ტირანაში, ალბანეთთან თუმერ მეთინმა გამარჯვების გოლი შეაგდო, თურქეთი კი პლეი ოფში აღმოჩნდა.

ფათიჰ თერიმს ამჯერადაც „ჯადოსნური თუმერის“ იმედი აქვს.

შვეიცარია და თურქეთი აქამდე ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ოსმალოებმა სამი მოიგეს, ორი ფრედ დაასრულეს და ერთი წააგეს. სტატისტიკა მათ მხარეზეა, თუმც აქვე აღვნიშნოთ, რომ შვეიცარიას უკვე ზედიზედ 13 მატჩია, არ წაუგია. მათ შორისაა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფის 10 შეხვედრა. ამ მხრივ თურქებიც დაიკვეხნიან — შესარჩევ ჯგუფის ექვსი გასვლითი მატჩი დაუმარცხებლად ჩაატარეს.

„მეტოქეს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება, მაგრამ ეს ფაქტი უპირატესობას არ გვანიჭებს — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა კობი კუნმა — ისინი სტუმრად უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე შინ“.

ახლა დამხვდურებზე მოგახსენებთ: ნახევარმცველი იოჰან ფოგელი და მისი სეხნია, მეგოლე ვონლანტენი ტრავმირებულნი არიან. „მილანის“ სათადარიგოთა შორის ჩაკარგული ფოგელი ექიმმა შესაძლოა, სადღეისოდ გამოაკეთოს, მაგრამ ვონლანტენი თამაშს ალბათ გამოტოვებს. ჰამბურგელი რაფაელ ვიკი დისკვალიფიცირებულია და გუნდს დააკლდება. დორტმუნდელი ფილიპ დეგენი და არსენალელი ფილიპ სენდეროსი თავ-თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებიან, მაგრამ თურქებთან სასტარტოში იქნებიან. რაც შეეხება ფორვარდებს, უეჭველად ითამაშებს ალექსანდრ ფრეი — „რენისა“ და საფრანგეთის ჩემპიონატის გასული სეზონის ბომბარდირი ფრეი ამ სეზონში შარშანდელივით ვერ ლაღობს. ბოლო ტურის მატჩში სათადარიგოებშიც კი გაამწესეს, მაგრამ ამას არ შეუშინებია.

„ძალიან დქვილალე და მწვრთნელმა ამიტომ დამასვენა — თქვა ფრეიმ — ეგებ ეს კარგიც იყოს, რადგან თურქეთთან მატჩისთვის უკეთ მოვემზადე და სული მოვითქვი. პლეი ოფის ორ შეხვედრაში ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში“.

ოსმალოები ვეტერანი ჰაქან შუქურით შეუტევენ. „ბოსფორის ბუღას“ მეწყვილე ლაუტერნელი ჰალილ ალტინტოპი იქნება, რომელიც ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. ეს ფათიჰ თერიმის არჩევანია, რომელმაც შვეიცარიული მედიის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს ასე უპასუხა: „ისინი ჩვენს პროვოცირებას ცდილობენ. ამას ფეხბურთთან კავშირი არა აქვს“.

ამბობენ, რომ იმ სასტუმროსთან, სადაც თურქები დაბინავდნენ, შვეიცარიელებმა ჯაშუშები გაგზავნეს, რომლებიც ოსმალო ფეხბურთელთა ბარში, დასალევად შეტყუებას ცდილობდნენ.

**რომან თურქია**

## ნორვეგია — ჩეხეთი

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| მირე, ბერგდოლმო, ჰეგენი, ჰანგელანდი, რიისე, სოლი, გრინდჰეიმი, ჰესტადი, მ. პედერსენი, კარეუ, ივერსენი | ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, პობორსკი, გალაშეკი, როსიცკი, ნედვედი, შმიცერი, ბაროში |

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

# ჭაობი

## მოსალოდნელი წყალბურთი ოსლოში



ჩეხეთის ნაკრებს პაველ ნედვედი (შუაში) უბრუნდება

**ნორვეგიას** სჯერა, რომ დაამარცხებს ჩეხებს მოედანზე, რომელიც ჭაობს უფრო ჰგავს, ვიდრე საფეხბურთო მინდორს. სტადიონზე, სადაც პლეი ოფის პირველი მატჩი გაიმართება, წინა კვირაში ორი შეხვედრა შედგა — ნორვეგიის თასის ფინალში ჯერ კაცთა, მერე ქალთა გუნდებმა ითამაშეს. ჩეხებმა დაჭაობებული ადგილი დაწუნეს და ამის თაობაზე ფიფასაც კი აცნობეს. ფიფა, ცხადია, ბალახის გასაშრობად ოსლოში არ გაქცეულა.

„იმ ფეხბურთის სათამაშოდ, რომელიც ჩვენ ვიცით, კარგი მინდორია საჭირო — თქვა ჩეხთა კაპიტანმა ტომაშ გალაშეკმა — აქ კი ბურთს წყალი აჩერებს. მინდვრის საფარი რომ შევამოწმეთ, გავოგნდით. ბალახს ვერ ვუწოდებთ იმას, რაც მე ვნახე“.

ნორვეგიელებს ეს ამბავი ალბათ ნაკლებად აღელვებთ, რაკი სეზონის უმეტეს დროს, ასეთ მოედანზე თამაში უწევთ. „მთავარია, ჩეხთა მეგოლეები შევაჩეროთ“ — განაცხადა ვიკინგთა მწვრთნელმა აგე ჰარეიდემ. „მატჩისთვის წყლის შეძლებისდაგვარად ამოვაშრობთ“ — ეს კი ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრესმდივან როჯერ სოლჰეიმის სიტყვებია.

ჩეხთა ნაკრების თავკაცმა ფეხბურთელებს უთხრა, ახლა წუწუნის დრო არაა, მით უმეტეს, პაველ ნედვედი დაგვიბრუნდა დასახმარებლად და მატჩზე უნდა ვიფიქროთო.

„ნორვეგია გრძელი პასებით თამაშობს, ჩვენ კი ბურთის გაგორება გვეხერხება. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ ვითარებაში შევეცდებით, საკუთარ ყაიდას არ ვუღალატოთ“ — აღნიშნა ჩეხების მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა. ნედვედის თამაში კი მართლაც მისწრებაა ბრუკნერისთვის, რომელსაც ტრავმირებული იან კოლერი დააკლდება.

პაველ ნედვედმა ბოლოს ნაკრების მაისურა ევრო 2004-ის ნახევარფინალში მოირგო, რომელშიც ბრუკნერის გუნდი ბერძნებთან 0:1 დამარცხდა. ამ შეხვედრაში დაშავდა „იუვენტუსის“ ნახევარმცველი და სანაკრებო კარიერის დასრულების თაობაზეც განაცხადა, მაგრამ რაკი ჩეხეთს ნორვეგიასთან პლეი ოფი ელის, ნედვედმა თავისი ქვეყნის გუნდის დასახმარებლად სიტყვა გადათქვა.

რაც შეეხება ვიკინგებს, მათ შეტევაში „ლიონის“ ფორვარდი იონ კარეუ ეყოლებათ. კარეუმ შესარჩევ მატჩებში სამი გოლი გაიტანა და ერთი კვირის წინ ნორვეგიის წლის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

„ჩვენ არ ვაპირებთ დაცვაში ყურყუტს და შევეცდებით, გამოვიყენოთ გოლის გატანის მცირე შანსიც კი, რომელიც აუცილებლად გვექნება“ — აღნიშნა მასპინძელთა ნახევარმცველმა მორტენ-გამსტ პედერსენმა.

ახლა სტატისტიკაც ვნახოთ. დაშლამდე ჩეხოსლოვაკია ორჯერ შეხვდა ნორვეგიას: 1988 წელს ბრატისლავაში 3:2, 1991-ში ოსლოში, ასეთივე ანგარიშით მოუგო.

ქვეყნის გაყოფის შემდეგ ჩეხეთი ნორვეგიასთან ევრო 96-ის შესარჩევ ჯგუფში მოხვდა. პირველი მატჩი ოსლოში 1:1 დასრულდა, ხოლო საპასუხო პრაღაში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ტრინიდადი — ბაჰრეინი

# რუსული რულეტის ფავორიტები



კარელ ბრუკნერი: პლეი ოფი აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის მოვლენაა

**მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელად მოწყობილ ერთ-ერთ პლეი ოფში ნორვეგია და ჩეხეთი ხვდებიან ერთმანეთს. რომელი მათგანია ფავორიტი? თქვენ ამბობთ, რომ ჩეხეთი? ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩეხები ფიფას რეიტინგში მეოთხე ადგილზე არიან, ხოლო ნორვეგიელები მათზე 33 პოზიციით ქვემოთ. მერედა, ჩეხების დიდი პლუსი პაველ ნედვედია, რომელმაც თექვსმეტთვიანი უარის შემდეგ ისევ გადაწყვიტა ნაკრებში დაბრუნება, ნედვედის დაბრუნება კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ძლიერი ფეხბურთელის დამატება კი არა, უდიდესი ფსიქოლოგიური იმპულსია. მოკლედ, ყველაფერი კოხტად და ლამაზად ვთქვით, მაგრამ საკუთრივ ჩეხთა მწვრთნელი, კარელ ბრუკნერი ამ აზრს არ იზიარებს და დაუჩემებია, ყველაფერი შეიძლება მოხდესო**

— ნუთუ, ფავორიტის სახელი მართლა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს თქვენს გუნდზე?

— ფავორიტებზე ლაპარაკი მაშინ შეიძლება, როდესაც საქმე გრძელვადიან შეჯიბრებას ეხება, ვთქვათ ჩემპიონატს. რაც შეეხება პლეი ოფს, ის აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის მოვლენაა, სადაც ერთმა შეცდომამ შეიძლება ყველაფერი განაპირობოს. ის რუსულ რულეტს ჰგავს. როგორ ფიქრობთ, რუსულ რულეტში ფავორიტები არსებობენ?

— ამას იმიტომ ხომ არ ამბობთ, რომ ოთხი წლის წინ, როდესაც თქვენ იოჟეფ ხოვანეცის ასისტენტი ბრძანდებოდით, 2002 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად პლეი ოფში ბელგიასთან მოგიხდათ თამაში და წააგეთ? მოკლედ, მწარე გამოცდილება გაქვთ. საინტერესოა, ჩეხეთის ახლანდელი გუნდი მაშინდელზე ძლიერი თუა?

— რომ დაგეთანხმოთ და გითხრათ, უფრო ძლიერიაო, თვითკმაყოფილი კაცის პასუხი გამომივა. ამიტომ, მოდით ეს ორი გუნდი პლეი ოფის შემდეგ შევადაროთ ერთმანეთს.

— თქვენ ამბობთ, რომ პაველ ნედვედის დაბრუნება გუნდს გააძლიერებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ არ რისკავთ? ნედვედს ჩეხეთის ნაკრებში წელიწადზე მეტია არ უთამაშია...

— აბსოლუტურად ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. თუკი ამ შესარჩევი ციკლის განმავლობაში რაიმე პრობლემა გვქონდა, ეს ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე იყო. ყოველთვის, როდესაც ნევედის შემცვლელზე ვმუშაობდი, საამისოდ შერჩეული ფეხბურთელი შავდებოდა და ყველაფრის თავიდან დაწყება მიწევდა.

— როგორც ვხვდებით ვლადიმირ შმიცერსა და იაროსლავ პლასილზე ბრძანებთ, თუმცა ამავე პოზიციაზე ერთხელ რუდოლფ სკაჩელიც მოსინჯეთ. ეს ძალიან ცოტა ხნით, სომხეთთან პირველ ტაიმში მოხდა. მომდევნო პერიოდში რატომ აღარ ათამაშეთ ეს ფეხბურთელი, მან ხომ შოტლანდიური „ჰართსის" შემადგენლობაში თოთხმეტ შეხვედრაში ათი გოლი გაიტანა?

— სომხეთთან ცუდად თამაში მარტო მას არ ბრალდება. იმ დღეს, პირველ ტაიმში მთელი გუნდი საძაგელი იყო. აქ, საქმე ისაა, რომ მარცხენა ფრთაზე თქვენს მიერ ზემოხსენებული შმიცერი და სკაჩელიც თამაშობენ, ხოლო ისინი პლასილზე გაცილებით გამოცდილები არიან.

— ნედვედის დაბრუნება ტრავმირებული იან კოლერის დანაკლისს ხომ ვერ შეავსებს?

— ამ ორ მოთამაშეს ვერაფრით შევადარებ, ისინი სავსებით განსხვავებული სტილისანი არიან. თუ მეტოქეებს რომელიმე ჩვენი მოთამაშის ეშინიათ, ერთ-ერთი მათგანი ულაპარაკოდ კოლერია და მას უბრალოდ, ვერ შევცვლი. მისი „ტყუპისცალი" ვრატისლავ ლოკვენცი უფრო ახლოსაა ამ დონესთან, მაგრამ სამწუხაროდ, ისიც დაშავებულია.

— ასეთ დროს იოლი გამოსავალი მსგავსი სტილის მოთამაშის გამონახვაა. ეს ხომ უფრო ადვილია, ვიდრე სისტემის გარდაქმნა?

— ვინაიდან ჩეხურ ფეხბურთში სხვა ორმეტრიანი გოლიათი არ მეგულება, მინდა თუ არა, სისტემის შეცვლა მომიწევს. კოლერის გარეშე ჩვენ უფრო მშვიდად და ნაკლებად მიზანმიმართულად ვთამაშობთ. ერთი სიტყვით, ჩვენი ყოველი შეტევა უფრო დაკვირვებით მზადდება. საბედნიეროდ აქილევსის მყესი მოირჩინა მილან ბაროშმა და მისი ფაქტორი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი.

— ნორვეგიამ კი ბურთის წინ, ღონიერი დარტყმით გადამგდები გუნდის იმიჯი შეიცვალა და უფრო შემოქმედებით ფეხბურთს თამაშობს...

— ნორვეგიელები ძალიან ეფექტურ და მიზანმიმართულ ფეხბურთს თამაშობენ, მათი ჟინი და სიჯიუტე რამდენიმე წლის წინანდელ ჩვენ თავს მაგონებს. ყველას კარგად მოეხსენება, ვინ არის იონ კარეუ. მას უამრავი გოლი გააქვს და სხვებსაც ხშირად უწევს ასისტენტობას. მის გარდა, ნორვეგიის ნაკრებში ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს. განსაკუთრებით ისინი, ვინც ინგლისურ პრემიერლიგაში არიან გამოცდილნი.

— და ბოლოს, რატომ გამოიძახეთ 23 ფეხბურთელი? ეს ხომ ხუთით მეტია იმ რაოდენობაზე, რომლის სათამაშოდ გაყვანაც ნებადართულია?

— რამდენიმე ფეხბურთელს წვრილმანი ტრავმა აწუხებს, ექვსს კი წინა თამაშებში ყვითელი ბარათი აქვს მიღებული და, თუ ახლაც ყვითელს მიიღებს, საპასუხო მატჩში ველარ ითამაშებს. გარდა ამისა, არიან მოთამაშეები, რომელთაც მართალია, თამაშის შანსი ძალიან მცირე აქვთ, მაგრამ ამ ათდღიან შეკრებაზე დასწრება და ვარჯიში მთხოვეს, რაზეც უარი არ მითქვამს.




**რუსული** „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ამჟამად ორი კანდიდატურა განიხილება — „შინიკის" თავკაცი ოლეგ დოლმატოვი და „ამკარის" დამრიგებელი სერგეი ობორინი. გავრცელებული ცნობით, რკინიგზელთა რიგებში იური სიომინის დაბრუნება ფაქტობრივად, გამორიცხულია.

**არგენტინული** და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ დიეგო არმანო მარადონამ 2006 წლის მუნდიალზე ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბში შესვლა იუარა. მან ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც გავრცელდა ინფორმაცია, მარადონას ნაკრებში მისვლას ხოსე პეკერმანის გადაყენება მოჰყვებაო. „არა მგონია, ახლა ნაკრებში მისასვლელად შესაფერისი მომენტი იყოს. არ მინდა, ვინმეს გზა გადავუჭრა და ვითარება ავრიო" — თქვა მარადონამ.

**იტალიური** „ტრევიზოს" ახალდანიშნული თავკაცი ალბერტო კავაზინი მშობლიურ ქალაქში დაბრუნებით ძალიან გახარებულია. „მინდა, კლუბს დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი არჩევისთვის. საქმეს გაორმაგებული ენთუზიაზმით შევუდგები. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ სერია A-ში თამაშის ღირსნი ვართ" — თქვა კავაზინიმ.

**რუსულ** „მოსკვას" ნიჭიერი ბრაზილიელი ფორვარდის, კარლოს ალბერტოს შეძენა სურს. დედაქალაქელთა გენერალურმა მენეჯერმა იური ბელოუსმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება „კორინთიანსთან". შეგახსენებთ, რომ 20 წლის ფეხბურთელს ევროპაში თამაშის გამოცდილება აქვს, მან პორტუგალიური „პორტუს" რიგებში ჩემპიონთა თასი მოიგო.

**იტალიური** „ბოლონიას" ახალი მწვრთნელი ანდრეა მანდორლინი გახდა. მან რენცო ულივიერი შეცვალა და კლუბის სერია A-ში დაბრუნება ევალება. მანდორლინი ბოლოს ბერგამოს „ატალანტას" წვრთნიდა და 2004 წლის დეკემბერში დაითხოვეს. სერია B-ში „ბოლონია" ახლა მე-14 ადგილზეა.

**გერმანული** „ჰამბურგი" ახალ ფორვარდს ეძებს. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა დიტმარ ბაიერსდორფერმა რუსეთისკენაც გაიხედა. იგი დინამოელ დმიტრი ბულიკინს, ლოკომოტიველ რუსლან პიმენოვსა და სპარტაკელ რომან პავლიუჩენკოს აკვირდება.

**შოტლანდიური** „რეინჯერსის" თავკაცი ალექს მაკლიში, მიუხედავად კლუბის ცუდი თამაშისა, გადადგომას არ აპირებს. „მე ბოლომდე ვიბრძოლებ და თუ ფეხბურთელებიც ასე მოიქცევიან, კრიზისიდან მალე გამოვალთ. ახლა რთული პერიოდი გვაქვს და ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, თავი დავაღწიოთ" — აღნიშნა მაკლიშმა.

**იტალიის** ნაკრებს ახალი ფორმა აქვს: მოთამაშეთა მაისურაზე იტალიის დროშის ფერები პატარა ფარზე იქნება გამოსახული, რომლის შუაშიც ბურთს ვიხილავთ წარწერით — იტალია. აპენინელები ამგვარი ფორმით 1982 წლის მუნდიალზე თამაშობდნენ, რომელიც მოიგეს კიდეც. ფარის თავზე, ცხადია, ტრადიციული ვარსკვლავიც იქნება გამოსახული.

**გერმანული** „შალკეს" მცველმა მლადენ კრსტაიჩმა სერბეთის ნაკრების შეკრება დატოვა. მას თიაქრის ოპერაციის გაკეთება მოუწევს. 31 წლის ვეტერანი დაახლოებით ორი კვირა ვერ იბურთავებს. შესაბამისად, იგი ეროვნული გუნდის ამხანაგური მატჩების გარდა, ბუნდესლიგაში „შალკესა" და „კიოლნთან" შეხვედრებსაც გამოტოვებს.

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის" უფროსობა ჩემპიონთა ლიგაში ცუდი თამაშისთვის ნორვეგიელ მწვრთნელ ტრონდ სოლიედის გადაყენებას აპირებს. მის სავარაუდო შემცვლელად უკვე სამ სპეციალისტს ასახელებენ — წლევანდელი სეზონის აღმოჩენის, „ქსანთის" თავკაც იოანის მაცურაკისს, „ტომის" უკრაინელ დამრიგებელ ანატოლი ბიშოვეცსა და უნგრეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლოთარ მათეუსს. თუმც, თუ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორ მატჩში პირეოსელები წარმატების მიღწევას და მესამე ადგილზე გასვლას შეძლებენ, სოლიედი ეგებ პოსტზე დატოვონ კიდეც.

**იტალიური** პრესის ცნობით, „რომას" ანტონიო კასანოსთვის სამწლიანი კონტრაქტი გაუმზადებია. შეთანხმების მიხედვით, 23 წლის ფეხბურთელი პირველ სეზონში 2,15 მილიონ გირვანქას, მეორეში 2,3 მილიონს, ხოლო მესამეში 2,43 მილიონს მიიღებს.

**რუსეთის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იური სიომინი მოსკოვის „დინამოს" თავკაცად დაინიშნა, თუმც კლუბი ამ ინფორმაციას ოფიციალურად ჯერ არ ადასტურებს. ერთ-ერთმა რუსულმა ვებ-გვერდმა სიომინის თანაშემწეთა ვინაობაც გაამხილა — ალექსანდრ ბოროდიუკი, ანდრეი კობელევი და ნიკოლაი გონტარი. ფიზმომზადების მწვრთნელად კი პორტუგალიელი მარიანუ ბარეტუ იმუშავებს, რომელიც „პავლოვიჩს" „ლოკომოტივშიც" ეხმარებოდა.


იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს გამოშვებული ISUZU RODEO 2.2 ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 4 | ბორნმუთი-ნოტინგემი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 18:00 | 5 | ბრედფორდი-ბარნსლი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 17:00 | 6 | ჩესტერფილდი-პორტ ვეილი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 19:00 | 7 | ჰარტლპული-ბრენტფორდი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 18:00 | 8 | როტერჰემი-კოლჩესტერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 9 | საუთენდი-სუონსი | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 18:00 | 10 | ტრანმერი-დონსი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 19:00 | 11 | უოლსოლი-ჯილინგემი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 12 | იოვილი-ჰადერსფილდი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ოლდემი-დონკასტერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 14 | ბლეკპული-სკანთორპი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 17 | როვერსი-როჩდეილი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 18 | ნოტსი-ჩელტენემი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:30 | 19 | დარლინგტონი-უიკომბი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 19:00 | 20 | ჩესტერი-ნორთჰემპტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 22 | ლინკოლნი-შრიუსბერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 23 | ოქსფორდი-რექსემი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 24 | პიტერბრო-ლეიტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 25 | ტორკი-კარლაილი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 26 | სტოკპორტი-ბარნეტი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |

### ინგლისი. კონფერენსი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 28 | გრეისი-აკრინგტონი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 19:00 | 29 | ალდერშოტი-გრეივსენდი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 30 | ალტრინჰემი-ექსეტერი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 31 | ქროული-საუთპორტი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 32 | ფორესტ გრინი-კონვი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 19:00 | 33 | ჰალიფაქსი-დაგ ენდ რედი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 19:00 | 34 | ჰერეფორდი-უოკინგი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 19:00 | 35 | მორიკომბი-კემბრიჯი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 36 | სტივენეიჯი-კიდერმინსტერი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:00 | 37 | ტემუორთი-სკარბორო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 38 | ერდრი-ჰამილტონი | 2.75 | 3.30 | 2.15 | 1.50 | 1.20 | 1.30 |
| 19:00 | 39 | ბრეჩინი-როსი | 4.00 | 3.50 | 1.65 | 1.86 | 1.16 | 1.12 |
| 17:00 | 40 | კლაიდი-სტ.მირენი | 2.65 | 3.30 | 2.20 | 1.46 | 1.20 | 1.32 |
| 17:00 | 41 | დანდი-სტ.ჯონსტონი | 2.55 | 3.30 | 2.30 | 1.43 | 1.20 | 1.35 |
| 17:00 | 42 | ქუინი-სტრანრარი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 43 | ალოა-მორტონი | 5.00 | 3.70 | 1.50 | 2.12 | 1.15 | 1.06 |
| 19:00 | 45 | დამბარტონი-ფორფარი | 2.05 | 3.40 | 2.90 | 1.27 | 1.20 | 1.56 |
| 19:00 | 46 | პარტიკი-გრეტნა | 4.20 | 3.40 | 1.65 | 1.87 | 1.18 | 1.11 |
| 19:00 | 47 | პიტერჰედი-სტირლინგი | 2.10 | 3.40 | 2.90 | 1.29 | 1.21 | 1.56 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 48 | ალბიონი-ელგინი | 2.00 | 3.50 | 2.90 | 1.27 | 1.18 | 1.58 |
| 19:00 | 49 | არბროთი-ბერიკი | 4.00 | 3.50 | 1.65 | 1.86 | 1.16 | 1.12 |
| 17:00 | 50 | ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |
| 18:00 | 52 | მონტროუზი-კოუდენბითი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 57 | ქემნიცი-დიუსელდორფი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 17:00 | 58 | ჰერტა(მ)-ვუპერტალი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 17:00 | 59 | კიოლნი(მ)-ზტ.პაული | 3.75 | 3.40 | 1.80 | 1.78 | 1.21 | 1.17 |
| 17:00 | 60 | მიუნსტერი-ობერჰაუზენი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 17:00 | 61 | ოსნაბრიუკი-ერფურტი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 17:00 | 62 | ჯენა-ლიუბეკი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 66 | ბაირატი-კობლენცი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 17:30 | 67 | დარმშტადი-აუგსბურგი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 17:30 | 68 | ეშბორნი-ელვერსბერგი | 3.40 | 3.40 | 1.85 | 1.70 | 1.19 | 1.19 |
| 17:30 | 69 | ლაუტერნი(მ)-ფულენდორფი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 17:30 | 70 | კარლსრუე(მ)-ბაიერნი(მ) | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 17:30 | 71 | შტუტგარტი(მ)-კიკერსი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

### იტალია. სერია B

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 74 | ალბინოლეფე-ჩეზენა | 2.55 | 2.80 | 2.70 | 1.33 | 1.31 | 1.37 |
| 18:00 | 75 | აველინო-პესკარა | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 18:00 | 76 | ბრეშა-პიაჩენცა | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 18:00 | 77 | კატანძარო-ბარი | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 18:00 | 78 | რიმინი-კატანია | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 18:00 | 79 | ტერნანა-კროტონე | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 18:00 | 80 | ტორინო-მოდენა | 1.95 | 2.90 | 3.90 | 1.16 | 1.29 | 1.66 |
| 18:00 | 81 | ტრიესტინა-არეცო | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 18:00 | 82 | ვიჩენცა-ვერონა | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 83 | ბოლონია-მანტოვა | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |

### იტალია. სერია C1/A

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 88 | პრო სესტო-პავია | 2.45 | 2.60 | 3.10 | 1.26 | 1.36 | 1.41 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 85 | ჯულიანოვა-სალერნიტანა | 2.30 | 2.60 | 3.40 | 1.22 | 1.37 | 1.47 |
| 17:30 | 86 | პიზიგეტონე-ტერამო | 2.25 | 2.60 | 3.50 | 1.20 | 1.36 | 1.49 |
| 17:30 | 87 | პრო პატრია-ლუმეცანე | 2.20 | 2.60 | 3.60 | 1.19 | 1.36 | 1.50 |
| 17:30 | 89 | რავენა-მონცა | 3.10 | 2.60 | 2.40 | 1.41 | 1.35 | 1.24 |
| 17:30 | 90 | სამბენედეტეზე-ჩიტადელა | 1.75 | 2.80 | 5.00 | 1.07 | 1.29 | 1.79 |
| 17:30 | 91 | სან მარინო-ჯენოა | 4.20 | 2.90 | 1.85 | 1.71 | 1.28 | 1.12 |
| 17:30 | 92 | სპეცია-ნოვარა | 1.45 | 3.30 | 8.00 | 1.00 | 1.22 | 2.33 |

**იტალია. სერია C1/B**

**13 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 94 | აკირეალე-მასესე | 2.10 | 2.60 | 3.80 | 1.16 | 1.35 | 1.54 |
| 17:30 | 95 | გელა-ფოჯა | 2.00 | 2.60 | 4.30 | 1.13 | 1.36 | 1.62 |
| 17:30 | 96 | გროსეტო-სტაბია | 1.70 | 2.90 | 5.30 | 1.07 | 1.28 | 1.87 |
| 17:30 | 97 | ლანჩანო-მარტინა | 2.25 | 2.60 | 3.40 | 1.20 | 1.35 | 1.47 |
| 17:30 | 98 | ლუკეზე-ფროზინონე | 2.20 | 2.60 | 3.65 | 1.19 | 1.37 | 1.51 |
| 17:30 | 99 | მანფრედონია-პიზა | 2.05 | 2.70 | 3.80 | 1.16 | 1.33 | 1.57 |
| 17:30 | 100 | ნაპოლი-სანჯოვანეზე | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| 17:30 | 101 | პერუჯა-პისტოიეზე | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| 17:30 | 102 | ტორესი-კიეტი | 1.95 | 2.60 | 4.50 | 1.11 | 1.36 | 1.64 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 106 | ტარაგონა-ლეიდა | 1.85 | 3.00 | 4.00 | 1.14 | 1.26 | 1.71 |
| 21:30 | 107 | ჰერკულესი-ეიბარი | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 21:30 | 111 | უელვა-ალბასეტე | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 103 | ალმერია-ფეროლი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:00 | 104 | კასტელონი-ეხიდო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 23:00 | 105 | სიუდადი-ვალიადოლიდი | 2.35 | 2.90 | 2.95 | 1.29 | 1.30 | 1.46 |
| 20:00 | 108 | მალაგა ბ-მურსია | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 20:30 | 109 | ნუმანსია-ლევანტე | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 110 | რეალი(ბ)-ელჩე | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 21:00 | 112 | ტენერიფე-სპორტინგი | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 20:00 | 113 | სერესი-ლორკა | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.09 | 1.24 | 1.86 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**14 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 125 | ბრესტი-ლორიანი | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 127 | ეუპენი-დაინცე | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 128 | კორტრაიკი-ჰეუსდენი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**13 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 359 | მოსი-მოლდე | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |

**ირლანდია**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 163 | დერი-სტ.პატრიკსი | 1.35 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.56 |
| 23:30 | 167 | ლონგფორდი-დუბლინი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |

**იაპონია**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09:00 | 168 | ნიიგატა-კაშივა | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 09:00 | 169 | ვერდი-ჩერეძო | 2.80 | 3.10 | 2.20 | 1.47 | 1.23 | 1.28 |
| 11:00 | 170 | გამბა-ურავა | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| 11:00 | 171 | იჩიჰარა-ივატა | 1.90 | 3.00 | 3.60 | 1.16 | 1.24 | 1.63 |
| 11:00 | 172 | კაშიმა-ტოკიო | 1.70 | 3.20 | 4.20 | 1.11 | 1.21 | 1.81 |
| 11:00 | 173 | კავასაკი-კობე | 1.45 | 3.60 | 5.50 | 1.03 | 1.14 | 2.17 |
| 11:00 | 174 | ომია-ნაგოია | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| 11:00 | 175 | ჰიროსიმა-ოიტა | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 11:00 | 176 | შიმიცუ-იოკოჰამა | 2.35 | 2.90 | 2.70 | 1.29 | 1.25 | 1.39 |

**აშშ**

**13 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 360 | ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |

**არგენტინა**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 186 | არგენტინოს ხუნიორსი-კილმესი | 1.65 | 3.20 | 4.50 | 1.08 | 1.20 | 1.87 |
| 23:45 | 187 | ხიმნასია ჟ-ესტუდიანტესი | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 22:45 | 188 | ხიმნასია ლპ-რასინგი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 189 | სან ლორენსო-ტირო ფედერალი | 1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |
| 22:00 | 190 | ოლიმპო-არსენალი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:00 | 191 | ინდეპენდიენტე-ველესი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:45 | 192 | ლანუსი-ნიუელზი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 23:10 | 193 | ბოკა ხუნიორსი-კოლონი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 23:45 | 194 | ინსტიტუტო-რივერ პლეიტი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |

**ბრაზილია**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 195 | ბოტაფოგო-პარანა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:45 | 196 | ფიგეირენსე-ფორტალესა | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:45 | 198 | პაისანდუ-ატლეტიკო მნ | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 23:45 | 200 | პალმეირასი-სან პაულუ | 1.80 | 3.30 | 3.65 | 1.16 | 1.20 | 1.73 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 197 | გოიასი-ატლეტიკო პრ | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 22:00 | 199 | კურიტიბა-კორინთიანსი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 22:00 | 201 | პონტე პრეტა-ფლამენგო | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 23:45 | 202 | კრუზეირო-ბრაზილიენსე | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 23:45 | 203 | ჟუვენტუდი-სან კაეტანო | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 204 | სანტოსი-ინტერნასიონალი | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 23:45 | 205 | ვასკუ და გამა-ფლუმინენსე | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |

**ჩილე**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 206 | პალესტინო-ტემუკო | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 207 | პუერტო მონტი-კოკიმბო | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 23:45 | 208 | უნ.კატოლიკა-უნ.ჩილე | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |

**მჩ. შესარჩევი**

**მატჩები (პლეი ოფი)**

**12 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| 23:45 | 210 | შვეიცარია-თურქეთი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 23:45 | 211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 23:45 | 212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 23:45 | 213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 216 | სამხრეთ კორეა-შვედეთი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 16:30 | 217 | ფინეთი-ესტონეთი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 20:00 | 219 | შოტლანდია-აშშ | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 20:45 | 220 | ინგლისი-არგენტინა | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 21:30 | 221 | საამიროები-ბრაზილია | 9.50 | 4.80 | 1.25 | 3.18 | 1.10 | 1.00 |
| 23:45 | 222 | ჰოლანდია-იტალია | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 223 | საფრანგეთი-გერმანია | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 23:45 | 224 | პორტუგალია-ხორვატია | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 225 | ჩინეთი-სერბეთი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 20:45 | 226 | ეკვადორი-პოლონეთი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **ევ. შესარჩევი მატჩები (21) (პლეი ოფი)** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 230 | რუსეთი(21)-დანია(21) | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 231 | უკრაინა(21)-ბელგია(21) | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 23:00 | 232 | სერბია(21)-ხორვატია(21) | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 233 | შვეიცარია(21)-პორტუგალია(21) | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 21:45 | 234 | სლოვენია(21)-ჰოლანდია(21) | 4.60 | 3.30 | 1.70 | 1.92 | 1.24 | 1.12 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 250 | მონსი-ლუვიე | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 249 | ლიერსი-რუზელარე | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 260 | მეტალურგი კლოკომოტივი | 4.00 | 3.40 | 1.70 | [illegible] | [illegible] | [illegible]3 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 452 | ნაპოლი-ვარეზე | 1.35 | 12.00 | 2.60 | 1.21 | 1.00 | 2.13 |
| 23:30 | 456 | კანტუ-კალაბრია | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 453 | ვ.ბოლონია-სიენა | 2.05 | 12.00 | 1.55 | 1.75 | 1.00 | 1.37 |
| 21:15 | 454 | რომა-ბოლონია | 1.65 | 12.00 | 1.90 | 1.45 | 1.00 | 1:64 |
| 21:15 | 455 | უდინე-აველინო | 1.10 | 12.00 | 4.80 | 1.00 | 1.00 | 3.42 |
| 21:15 | 457 | როზეტო-ბენეტონი | 2.90 | 12.00 | 1.30 | 2.33 | 1.00 | 1.17 |
| 21:15 | 458 | ორლანდო-ბიელა | 1.60 | 12.00 | 2.05 | 1.41 | 1.00 | 1.75 |
| 21:15 | 459 | მილანი-ტერამო | 1.10 | 12.00 | 4.80 | 1.00 | 1.00 | 3.42 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 469 | მარუსი-აპოლონი | 1.06 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 21:00 | 470 | პანათინაიკოსი-პანელინიოსი | 1.05 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 21:00 | 471 | პაოკ-არისი | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 472 | მაკედონიკოსი-ოლიმპია | 1.60 | 12.00 | 2.00 | 1.41 | 1.00 | 1.71 |
| 19:00 | 473 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 2.75 | 12.00 | 1.35 | 2.23 | 1.00 | 1.21 |
| 20:00 | 474 | ლარისა-კოლოსოსი | 1.40 | 12.00 | 2.40 | 1.25 | 1.00 | 2.00 |
| 21:00 | 475 | აეკ-პანიონიოსი | 1.30 | 12.00 | 2.90 | 1.17 | 1.00 | 2.33 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 501 | ს.სამი-ო.მასკაევი | 1.30 | 15.00 | 3.00 | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10210 | შვეიცარია-თურქეთი | 2.65 | 2.00 | 3.55 | 1.13 | 1.51 | 1.27 |
| 10212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 2.10 | 2.00 | 4.50 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.85 | 2.00 | 5.40 | 1.00 | 1.37 | 1.45 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11210 | შვეიცარია-თურქეთი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11213 | ურუგვაი-ავსტრალია | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 8.00 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | შვეიცარია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13210 | შვეიცარია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.90 | 1.70 |
| 13212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.90 | 1.70 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 1.60 | 2.00 |
| 12210 | შვეიცარია-თურქეთი | 1.60 | 2.00 |
| 12211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 12212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 1.70 | 1.90 |
| 12213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.70 | 1.90 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 1.90 | 1.65 |
| 16210 | შვეიცარია-თურქეთი | 1.60 | 2.00 |
| 16211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 1.06 | 4.50 |
| 16212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 1.20 | 3.40 |
| 16213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.12 | 3.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | შვეიცარია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ესპანეთი-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ურუგვაი-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14209 | ნორვეგია-ჩეხეთი | 1.90 | 1.70 |
| 14210 | შვეიცარია-თურქეთი | 1.75 | 2.00 |
| 14212 | ტრინიდადი-ბაჰრეინი | 1.45 | 2.40 |
| 14213 | ურუგვაი-ავსტრალია | 1.25 | 2.50 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## საქართველოს ჩემპიონატი

**11 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**სსუ 85:84 დინამო**

*25:29 21:21 15:17 24:17*

**სსუ:** თორთლაძე (23), პატარაია (11), ბენდიანიშვილი, ჯგერენაია (5), მეტრეველი (19); მოდებაძე (3), კორძაძე, ქვლითაია (6), გოლეთიანი (12), ლ. ნოზაძე (6)

**დინამო:** გამყრელიძე (12), ვ. მაისურაძე (12), ძიძიგური (10), ლაფანაშვილი (11), სუხიშვილი (21); ბადრიძე (11), წიჟნივაძე (2), დევიძე (2), გვიმრაძე (3), გულისაბედაშვილი, დერიუგინი

**მსაჯები:** მალხაზ ანდღულაძე, დავით არეშიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 110:79 სტუ**

*28:16 30:14 26:22 26:27*

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (8), ხოშტარია (9), მარკოიშვილი (25), ორმოცაძე (2), ნინიაშვილი (12); მოსეშვილი (3), ბ. ბერიშვილი (11), ნიკოლაძე (10), ჩხატარაშვილი (12), ბ. ნოზაძე (9), მინაშვილი (9)

**სტუ:** მიქაძე, ხეცურიანი (10), ლ. ლოსაბერიძე (19), შანიძე (12); ქისტაური (2), კეიდია (6), ნინუა (1), გაგნიძე (6), კოხრეიძე, ახალკაცი (14), მურჯიკნელი (2), მათიაშვილი (7)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**11 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**ქუთაისი 80:90 თსუ-ნიკორა**

*14:27 24:22 20:16 22:25*

**ქუთაისი:** ნარსია (5), ნიჟარაძე (21), მამისეიშვილი (16), გ. ლოსაბერიძე (7), ჭულუხაძე (7), მამასახლისი, ცერცვაძე (3), კოლუაშვილი (21)

**თსუ-ნიკორა:** ფანჩულიძე, ლეჟავა (16), მარხვაშვილი (16), ვეფხვაძე (4), ტყეშელაშვილი (11), სანიკიძე 17), ბერაია (8), ლომიძე (3), საყვარელიძე (13), შარაბიძე (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 56:66 აზოტი**

*15:17 11:23 13:14 17:12*

**მაკაბი:** ენუქიძე (2), გ. შერმადინი (16), ფიცხალაური (2), ვაშაკიძე (27), დოლიძე (9), ჩერქეზიშვილი, აბრამიძე, კორკოტაძე, აბულაძე

**აზოტი:** ლიპარტელიანი (7), გოგსაძე (3), არწივიძე (9), დანელიანი (7), ჩაჩუა (10), ცეკვავა (5), ჟღენტი (15), გოგობერიშვილი (3), ჭოჭუა (9), კურტანიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ გელოვანი



ვაჟა კვარაცხელიას შეგირდები იოლად აღარავის ეჩაგვრინებიან

# თორთლა, არიიის დინამო სოხუმში დაეცა

**ირაკლი პერტაია**

**გუშინდელი** ტურის ცენტრალურ მატჩად შერაცხულ „ავიამშენ" — სტუ-ში 31-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. ლევან მოსეშვილის გუნდმა გასული ჩემპიონატის ფინალში დამარცხებისთვის რევანში აიღო და ტექნიკოსთა განადგურებით გულიც გვარიანად მოიოხა. რა იცოდნენ, თორემ ფედერაციის მუშაკები ცენტრალურად სსუ — „დინამოს" მატჩს მონათლავდნენ, რომელშიც ჩემპიონატის პირველი ხმაურიანი მოულოდნელობა დაფიქსირდა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი წლეულს გვარიანად მომძლავრებულია. ვაჟა კვარაცხელიას უწვერული ბიჭები წამოიზარდნენ, დაღვინდნენ და გამოცდილი დავით თორთლაძეც რომ შეემატათ, მადაც გაეხსნათ.

სსუ-მ ამ ჩემპიონატში „ქუთაისი" იმერეთში დაამარცხა, „მაკაბისთან" ოვერტაიმში წააგო და ჩემპიონ სტუ-ს ბოლომდე გა[illegible]ქალიანდა. სოხუმელების პროგრესი ყველასთვის თვალში საცემი იყო და აი, კვარაცხელიას გუნდმა გაცილებით უკეთესი რეპუტაციისა და შედეგის მქონე „დინამო" დაამარცხა, თანაც მერე როგორ... ნბა-ს მატჩების დროს სატელევიზიო ტიხრებში რომ აჩვენებენ, რომელიღაც სუპერვარსკვლავი ბოლო წამებზე ჯადო სამქულიანით თავის გუნდს რომ ამარჯვებინებს, სწორედ ისეთი იყო დავით თორთლაძის ნატყორცნი. სირენამდე ათიოდ წამით ადრე სოხუმელთა ლიდერმა საქმ[illegible]ლიანი ნიშნულისგან გვარიანად მოშორებით ბრუნში სტყორცნა სამქულიანი, რომელიც მისი ოპონენტის ხელების ქნევის მიუხედავად დინამოელთა კალათში ჩაეშვა.

თორთლაძის ტყორცნის შემდეგ ანგარიში 85:84 გახდა სოხუმელთა სასარგებლოდ, დინამოელებს კი თამაშის გადასარჩენად 10 წამი დარჩათ. ამ დროში მატჩის მოგება ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმც იმ მდგომარეობაში, რომელშიც დინამოელები აღმოჩნდნენ, თითქმის შეუძლებელი გახლდათ შეტევის შედეგიანად დაგვირგვინება.

რატომ? მიუხედავად იმისა, რომ თამაშის ბოლო წამები იყო, სოხუმელებს ერთი ჯარიმაც არ ჰქონდათ მიღებული გადამწყვეტ ათწუთეულში. ეს კი სსუ-ს მოთამაშეებს იმის საშუალებას აძლევდა, რომ დინამოელებზე თამამად დაჯარიმებულიყვნენ, ტყორცნები მაინც არ იქნებოდა.

ასეც მოხდა — სოხუმელებმა მეტოქეს ბურთი თავის ნახევარზე გადმოატანინეს და დინამოელთა გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე მათი ფარისკენ რომ დაიძრა, მყისვე ჯარიმით შეაჩერეს. ამასობაში სირენამდე 5 წამი რჩებოდა და შემოიტანეს თუ არა დინამოელებმა ბურთი თამაშში, სოხუმელები კვლავ დაჯარიმდნენ. ეს იყო და, დროც ამოიწურა და სსუ-მ სასახელო გამარჯვება იზეიმა.

უნდა აღინიშნოს, რომ დინამოელები ლიდერ გიორგი ცინცაძის გარეშე თამაშობდნენ, თუმც ეს ფაქტი მათ გამართლების საფუძველს ნამდვილად არ აძლევს. მით უფრო, რომ „დინამო" ბოლო მეოთხედში 11 ქულითაც იგებდა და დარჩენილი დროის ოდნავი გონივრებით ჩატარება მართებდა, მაგრამ...

## ცინცაძე: დინამოდან დინამოში

**გიორგი ცინცაძე** „დინამოშია", ოღონდ მოსკოვში. თბილისის „დინამოში" დროებით მყოფ ცინცაძეს გუშინწინ მისმა აგენტებმა დაურეკეს და სასწრაფოდ რუსეთის დედაქალაქში დაიბარეს.

გუშინ დილით გიო მოსკოვში გაფრინდა და „დინამოს" ძირითად გუნდში ვარჯიშიც მოასწრო. როგორც მისმა დედამ, ქალბატონმა იამ გვითხრა, ცინცაძე მოსკოველებს გასასინჯად მიუწვევიათ:

„ცსკა-დან რომ მოდიოდა, გიორგიმ ახალ აგენტებთან დაიჭირა საქმე, რომლებიც მას კარგ გუნდში მოწყობას დაჰპირდნენ. ჰოდა, გუშინწინ იმ აგენტებმა დაურეკეს, „დინამომ" უნდა გაგსინჯოსო. გიორგი გუშინ დილით გაემგზავრა მოსკოვში და გუნდში ვარჯიშიც მოასწრო. როგორც ვიცი, დინამოელებს გამთამაშებელი დაუშავდათ და შემცვლელს ეძებენ. თან მათ დუშან ივკოვიჩი წვრთნის, რომელიც ცსკა-დან წლეულს გადაიყვანეს და გიორგის კარგად იცნობს".

შეგახსენებთ, რომ ცინცაძე ამ შემოდგომამდე ცსკა-ს საკუთრებაში იყო, მაგრამ არმიელებმა მას ხანგრძლივი კონტრაქტი გაუწყვიტეს და სანამ უცხოეთში წავიდოდა, გიო თბილისის „დინამოში" ბურთაობდა.

როგორც ცინცაძის დედამ გვითხრა, მომავალ კვირაში უნდა გადაწყდეს, აიყვანენ თუ არა დინამოელები ქართველ გამთამაშებელს.

**ირაკლი პერტაია**

# ბოისამ პარტიზანს ძირი გამოუთხარა

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური

9-10 ნოემბერი

**A ჯგუფი**

**ბამბერგი 81:80 ოლიმპია**
ბამბერგი: ფელპსი (14), მალეტი (14)
ოლიმპია: შევჩიკი (21), ევტიმოვი (16)

**სტრასბურგი 76:78 ბენეტონი**
დამატებითი დრო: 69:69
სტრასბურგი: ვესონი (20), გრინი (12)
ბენეტონი: მორდენტე (20), ზის[illegible] (12)

**ჟალგირისი 63:58 ტაუ**
ჟალგირისი: ფრიმენი (17), ლავრინოვიჩი (12)
ტაუ: სკოლა (22), პრიჯიონი (11)

**კლიმამიო 88:55 აეკ**
კლიმამიო: გრინი (19), კომატოს (18)
აეკ: კალამპოკისი (12), ჰაგ[illegible] ([illegible])

**B ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი 87:78 მაკაბი**
ოლიმპიაკოსი: ლუისი (21), იდნი (14)
მაკაბი: სოლომონი (19), პარკერი (10)

**ეფესი 66:63 ბარსელონა**
ეფესი: დიმერჩანტი (23), პრკაჩინი (16)
ბარსელონა: ნავარო (18), უილიამსი (36 წუთი, 7 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი)

**ლიეტუვოს რიტასი 59:65 მილანი**
რიტასი: შტელმახერსი (13), ისაიტისი (13)
მილანი: ბულერი (18), კალაბრია (12)

**პროკომი 80:64 ციბონა**
პროკომი: იაგოდნიკი (21), ვოიშიკი (16)
ციბონა: მარკოტა (14), კუში (11)

**C ჯგუფი**

**პანათინაიკოსი 92:82 ცსკა**
პანათინაიკოსი: სპანულისი (28), ლაკოვიჩი (17)
ცსკა: ჰოლდენი (20), პაპალუკასი (16 ქულა, 7 პასი)

**უნიკახა 70:57 ულქერი**
უნიკახა: გარბახოსა (19), სანტიაგო (18)
ულქერი: თურქჯანი (13), ტრეპანიე (13)

**პო ორტეზი 50:69 რეალი**
პო ორტეზი: ლუქსი (17), კუპერი (11)
რეალი: რაკოჩევიჩი (19), რეიესი (17)

**სიენა 66:59 პარტიზანი**
სიენა: ვუდვორდი (15), ბოისა (26 წუთი, 11 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 4 ჩაჭრა)
პარტიზანი: მილოევიჩი (14), პეროვიჩი (12)

**„ჩვენ** თამაში ჩვეული კონცენტრაციით ვერ დავიწყეთ. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, თუმც ბოლოსკენ ყველაფერი გამოვასწორეთ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. ამ მატჩმა დაგვანახვა, რომ ჩვენი ჯგუფი საკმაოდ ტოლძალოვანია და გასვლაზე გამარჯვება ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება" — თქვა ნამატჩევს „სიენას" ჩვენებურმა ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც ჯამური მაჩვენებლებით ამ თამაშში საუკეთესო იყო თანაგუნდელ დუეინ ვუდვარდთან ერთად.

დიახ, ბოისამ ხუთშაბათს ევროლიგაში კარგად ითამაშა. მის ქებულ გარჯას ქართველები ნაჩვენნი კი ვართ, მაგრამ ახლა ვლადიმერი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაშობს და, ბუნებრივია, ისე ვერ გაშლის ფრთებს, როგორც ამას შარშან „ოლიმპიაში" აკეთებდა. მისი საევროლიგო დებიუტი „სიენას" მაისურით გასულ კვირას შედგა და მაშინ ბოისამ 13 წუთში უქულოდ დატოვა მოედანი, ახლა კი ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბოისამ თამაში ხუთეულში დაიწყო და სიენელთა პირველივე წუთებზე გალიდერებაში ლომის წილი დაიდო. მან პირველი მეოთხედის 7 წუთი გაატარა მოედანზე და 5 ქულა მოაგროვა: ზუსტ სამქულიანს ორი ორხელოვანი ჩატენვა მიაყოლა და „სიენა" 9:4 დააწინაურა.

თუმც „პარტიზანი" კერკეტი გამოდგა და პრედრაგ სუპუტის დახმარებით პირველი შესვენებისთვის სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა.

ამის შემდეგ თანაბარი [illegible]მაში წავიდა და ანგარიშში სხვაობა მანამ არ გაიზარდა, სანამ ისევ ბოისა არ ჩაერია საქმეში. მესამე მეოთხედში მან მორიგი 2 ქულა მიითვალა და იტალიელები 40:33 დააწინაურა, რაც მეტოქის გატეხვას კი ჰგავდა, მაგრამ სერბებმა ერთხელაც გამოიღეს ხელი.

გადამწყვეტი მეოთხედი „სიენას" 6-ქულიანი უპირატესობით [illegible] დაიწყო, მაგრამ „პარტიზანებმა" უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და წარმატების შანსი გაიცოცხლეს. სერბთა უპირობო ლიდერი, [illegible]მელსაც ამ მატჩის დასაწყისში თითქმის არაფერი გამოსდიოდა, ბოლოსკენ აზვირთდა და სირენამდე 2 წუთით ადრე „პარტიზანი" 2 ქულასაც აგებდა — 56:58.

მილოევიჩმა მძლავრ ბმირობა [illegible]ინდომა და გამთანაბრებელიც სტყორცნა, მაგრამ სიენელმა მარჩელო ნიკოლამ ეფექტურად დაუფარა და საპასუხო შეტევის შემდეგ იტალიელთა ლიდერობა 4-ქულიანი გახდა. ამჯერად მილოევიჩმა სამანით სცადა ვითარების გამოსწორება, მაგრამ ააცდა და შორ სტარტერუკმა ლამაზი ჩატენვით „სიენას" მორიგი გამარჯვება დააფიქსირა ევროლიგაში.

პირველი მატჩი სიენელებმა მოსკოვში მოიგეს და ცსკა-ს ის დამარცხება ევროსაკალათბურთო საზოგადოებამ ლამის [illegible]ენსაციად აღიქვა. ეს იმიტომ, რომ ცსკა-მ გასული ევროლიგა 17-მატჩიანი მომგებიანი სერიით დაიწყო და მას მერე შემადგენლობა უფრო გააძლიერა, ახლა კი რა ხდება, წითელარმიელები მეჯერით მეორე მატჩს აგებენ ევროლიგაში.

ისე, მოსკოველთა მარცხს ის გამართლება მოეძებნება, რომ ათენში მოხდა, ბერძენ ქომაგთა აპოკალიფსურ გარემოში, სადაც იოლი გაკეირნება არავის ელის.

ცსკა-ს ცუდად არ უთამაშია, მთელი შეხვედრა ჩინებულად ირჯებოდა და უმეტესად მცირედით ლიდერობდა კიდეც, მაგრამ... პანათინაიკოსის „ხალწვეულმა ვასილის სპანულისმა არმიელებს სასაკლაო მოუწყო... ამ ბიჭმა ჯეილმა ცსკა-ს კალათში [illegible] ნატყორცნიდან მხოლოდ ერთი გააცუდა. მოსკოველები ბოლო მეოთხედში 5 ქულას იგებდნენ და გამარჯვებაშიც დარწმუნებულნი იყვნენ, მაგრამ სწორედ სპანულისის დამსახურებაა, რუსთა გუნდი პირში ჩალაგამოვლებული რომ დარჩა.

სხვა ჯახებიდან გამოსარჩევია „ჟალგირისისგან" „ტაუს" ძლევა და „ბარსელონას" სტამბოლში „ეფესთან" დამარცხება.

„ბარსაში", მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების წევრი შემონდ უილიამსი თამაშობს, რომელმაც ამ ჯახში 36 წუთი დაყო მოედანზე, მაგრამ ისეთი ქულუხვი არ ყოფილა, როგორც მისგან რუსულ „უნიკსში" იყვნენ ნაჩვევნი. უილიამსმა 7 ქულა და 5 პასი გამოჭედა, ვერც კატალონიელთა ლიდერმა ხუან-კარლოს ნავარომ გაშალა ფრთები და ესპანელები თურქეთიდან თავჩაქინდრულნი წამოვიდნენ.

დაბოლოს, ერთი რკენის შესახებ, რომელშიც ტრავმა რომ არ ჰქონოდა, მანუჩარ მარკოიშვილიც მიიღებდა მონაწილეობას.

„ოლიმპიამ" ევროლიგის დებიუტანტ „ბამბერგთან" დრამატულ ჯახში ბოლო წამებზე წააგო — 60:61. დრამა ასე განვითარდა: ბოლო წუთზე თანაბრობა იყო და ოლიმპიელი შიმონ შევჩიკი კოკო არჩიბალდზე დაჯარიმდა, რომელმაც არაზუსტად კი შეასრულა საპენალო ტყორცნები, მაგრამ მერე დაცვაში იმავ შევჩიკს აართვა ბურთი და ბამბერგელებს პირველი საევროლიგო გამარჯვება მოუტანა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



AFP ფოტო

# ქორებში არწივი

## ფაჩულიამ ფრენა ისწავლა

10 ნოემბერი

**ატლანტა 95:102 კლიპერსი**

**ატლანტა:** ლუ (8), ჯონსონი (24), ჩილდრესი (6), ჰარინგტონი (14), **ფაჩულია** (38 წუთი, 16 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); უილიამსი (12), სტუდემაიერი (11), ჯ. სმიტი (2), დ. სმიტი (2), ედვარდსი, ბატისტა

**კლიპერსი:** კასელი (21 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), მობლი (12), როსი (7), ბრენდი (23), კამანი (9); მეჯიტი (17), რებრაჩა (6), იუინგი (5), ვილკოქსი (2)

**ფინიქსი 104:111 დეტროიტი**

**ფინიქსი:** ბარბოსა (21), ნეში (18), ბელი (14)

**დეტროიტი:** ბილაფსი (27 ქულა, 11 მოხსნა), ჰამილტონი (18), პრინსი (18), რ. ვოლესი (16); ბ. ვოლესი (15 ქულა, 16 მოხსნა)

**მაიამი 88:84 ჰიუსტონი**

**მაიამი:** ვეიდი (25), მურნინგი (13)

**ჰიუსტონი:** მინგი (24 ქულა, 14 მოხსნა), ანდერსონი (20)

„**ჩვენ** გვინდა, რომ დასავლეთში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვიყოთ, და ვართ კიდეც" — ამბობს „ლოს ანჯელეს კლიპერსის" თავდამსხმელი ელტონ ბრენდი. რატომაც არ იტყვის, ეს მუდმივად უნიათო გუნდი თამაშს თამაშზე იგებს, ექვსი შეხვედრიდან ხუთი დაამარცხა და სეზონი ისე დაიწყო, არასდროს რომ არ დაუწყია. ჩვენებური ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსიც" მეორედ დასცა, ამჯერად მისსავე მოედანზე და მეხუთე შეხვედრაში მეხუთე მარცხით დაზურგა.

„კლიპერსის" ახალგამომცხვარი ლიდერი სემ კასელი კი ამბობს (სიტყვასიტყვით) — ჩვენი ლიმიტი ცა არისო, რაც მოდით, ასე მოვაქართულოთ — ცა ქუდად არ მიგვაჩნიაო...

„კლიპერსი" იქით იყოს, ჩვენი ბიჭის ამბავი ვთქვათ: ზაზა ფაჩულიამ თავის სამწლიან ამერიკულ კარიერაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატამაშა, პირადსარეკორდოდ ბევრი, 16 ქულა მოიხვეჭა და ზედ 13 მოხსნა და 6 პასიც დაადო, რაც აგრეთვე მისი პირადი რეკორდების გამეორებაა. 16 ქულით და 13 მოხსნით მან „ატლანტაში" უკვე მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა, ხოლო მისი 6 პასი ამ შეხვედრაში უბევრესი იყო მასპინძელთა შორის. ესეც სათქმელია, ზაზას „ჰოქსის" მაისურით ხუთ ოფიციალურ თამაშში 10 ქულაზე, უფრო ზუსტად 12-ზე ნაკლები არ ჩაუგდია, მოკლედ, დაფრინავს...

ფაჩულია მშვენივრად კი მოეწყო ამ ახალ გუნდში და გადასარევადაც ბურთაობს, მაგრამ ამით „ატლანტას" რა ხეირი? აი, „ქორები" კი ნაღდად ვერ დაფრინავდნენ. 22 წლის ქართველს, თან ცენტრს და არა, ვთქვათ, გამთამაშებელს ნბა-ს გუნდში ყველაზე მეტი პასი რომ მოუგროვდება, რომელ ფრენაზეა ლაპარაკი.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 3 | 2 | 60,0 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ფილადელფია | 2 | 3 | 40,0 |
| ნიუ იორკი | 0 | 4 | 0 |
| ტორონტო | 0 | 4 | 0 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 5 | 0 | 100 |
| მილუოკი | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 3 | 1 | 75,0 |
| კლივლენდი | 3 | 2 | 60,0 |
| ჩიკაგო | 2 | 2 | 50,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 3 | 1 | 75,0 |
| მაიამი | 3 | 3 | 50,0 |
| შარლოტი | 2 | 3 | 40,0 |
| ორლანდო | 2 | 3 | 40,0 |
| ატლანტა | 0 | 5 | 0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 4 | 1 | 80,0 |
| მემფისი | 3 | 2 | 60,0 |
| ნიუ ორლეანი | 2 | 2 | 50,0 |
| დალასი | 2 | 2 | 50,0 |
| ჰიუსტონი | 1 | 3 | 25,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 3 | 2 | 60,0 |
| მინესოტა | 2 | 3 | 60,0 |
| პორტლენდი | 2 | 2 | 50,0 |
| დენვერი | 2 | 3 | 40,0 |
| სიეტლი | 1 | 3 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| კლიპერსი | 5 | 1 | 83,3 |
| ლეიკერსი | 3 | 2 | 60,0 |
| გ. სტეიტი | 3 | 2 | 60,0 |
| ფინიქსი | 2 | 3 | 40,0 |
| საკრამენტო | 1 | 4 | 20,0 |



# პეკინში მუშტების გამოსაცდელად

**დღეიდან** 21 ნოემბრამდე ჩინეთის დედაქალაქი კრივში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები მასზე ცხრაკაციანი შემადგენლობით გამოვა. თენგიზ მესხაძის გუნდს თერთმეტი წონითი კატეგორიიდან მხოლოლოდ ორში, 54 კილოგრამსა და მძიმე წონაში არ ეყოლება მონაწილე.

ეროვნულის თავკაცს შეგირდების მომზადებასა და შანსებზე კომენტარი პეკინში გამგზავრების წინ, ვთხოვეთ:

— სეზონის უმთავრესი ტურნირისთვის მზადება წლის დასაწყისში დავიწყეთ. რამდენიმე უმაღლესი დონის შეკრებაც გავიარეთ და საერთაშორისო ტურნირებზეც გამოვედით. შეიძლება ითქვას, ნაკრები კარგადაა მომზადებული. მედლისთვის თითქმის ყველა წონაში შეიძლება ბრძოლა. განსაკუთრებით რამდენიმე მოკრივისა გვეიმედება, თუმც გვარებს არ დავაკონკრეტებ. არ მინდა, ისედაც ახალგაზრდა სპორტსმენები დამატებით დავტვირთო.

**საქართველოს ნაკრები**

| | | |
|---|---|---|
| 48 | კგ | ზვიად ხადური |
| 51 | კგ | ნიკოლოზ იზორია |
| 57 | კგ | კობა ფხაკაძე |
| 60 | კგ | კონსტანტინე კუპატაძე |
| 64 | კგ | ლევან ღვამიჩავა |
| 69 | კგ | კახა ჟვანია |
| 75 | კგ | ანატოლი ქავთარაძე |
| 81 | კგ | დავით ნიკლაური |
| 91 | კგ | ბექა ლობჟანიძე |

# გადავრჩით

*საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის საქმიანობისადმი ინტერესი მას შემდეგ გაორმაგდა, რაც ბორჯომმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ თავისი კანდიდატურა წამოაყენა.*

*თუმცა, რა თქმა უნდა, იმის ილუზია ცოტას თუ ექნება, რომ ბორჯომი პირველსავე ცდაზე მიზანს მიაღწევს. როგორც ბოლო წლების პრაქტიკა მოწმობს, ქალაქები ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ პირველივე ბრძოლას გამარჯვებით ვერ ასრულებენ.*

*და მაინც, როცა ქალაქი ოლიმპიური თამაშების მოსურნე ოფიციალურად ხდება, ეს ქვეყნის პრესტიჟზე და მის პოპულარობაზე კეთილსმყოფელ გავლენას ახდენს*



**ტურინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტები: მოთხილამურეები სოფო ახმეტელი, გელა აბრამაშვილი და ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილი**

**ეს** ყოველივე და სხვაც მრავალი ითქვა გუშინ გამართულ საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის V ყრილობაზე, რომელიც მისსავე ოფისში მოეწყო. მას მოწვეული 25 დელეგატიდან 20 დაესწრო.

როგორც ამ ფედერაციის პრეზიდენტმა და იმავდროულად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტმა გოგი თოფაძემ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ თავის საანგარიშო მოხსენებაში ბრძანა, ამ ორგანიზაციის ამოცანა სპორტის ზამთრის სახეობათა გადარჩენა იყო, რაც პრაქტიკულად მოხერხდა კიდეც.

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ფედერაცია გაცოცხლდა, — ამბობს გოგი თოფაძე. — ჩვენი სპორტსმენები ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ. გვქონდა გარკვეული წარმატებები და ჩვენი სპორტსმენები მიუახლოვდნენ ისეთ კონდიციებს, რომ მომავალში დიდ შეჯიბრებათა საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ.

— მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს სპორტის დეპარტამენტს, რომელმაც გამოყო ის თორმეტი სახეობა, რომლებიც პრიორიტეტულად ესახებათ. სასიამოვნოა, რომ ამ თორმეტში სპორტის ზამთრის სახეობებიც მოხვდნენ. დეპარტამენტმა წლეულს ჩვენი ფედერაციისთვის სერიოზული თანხა გამოჰყო და იმედია, იგი უფრო გაიზრდება, ეს კი გვავალდებულებს, რათა მეტი ენთუზიაზმით ვიმუშაოთ.

— როგორც შეუძლია, ისე გვეხმარება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც და აქამდე თუ ორი-სამი სპორტსმენი გოგობიჭის იმედად ვიყავით, ახლა მეტი უნდა გვყავდეს.

— სხვათა შორის, წლეულს, როცა ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს „ბორჯომი 2014"-თან დაკავშირებულ საკითხებზე ვსტუმრობდით, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რაზეც იქ დაინტერესდნენ, სწორედ ის იყო, თუ სპორტის ზამთრის სახეობებისთვის რას ითვალისწინებს ქვეყნის ბიუჯეტიო.

— მაგრამ პრობლემა ისაა, მხოლოდ სამთო-სათხილამურო სპორტისთვის 400450 ათასი დოლარია საჭირო; საჭიროა, რომ სპორტსმენი წელიწადში მთელი ათი თვის განმავლობაში თხილამურებზე იდგეს, ეს კი ჯერჯერობით მხოლოდ უცხოეთშია შესაძლებელი. ახლა ძველებურად სამი-ოთხი სპორტსმენის იმედად აღარ უნდა დავრჩეთ. საჭიროა, რომ ოთხჯერ მეტი მოთხილამურე გვყავდეს, მათი მომზადება კი ავსტრიაში, ჩვენს ბაზაზეა შესაძლებელი, სადაც 20 კაცის ადგილია, თუმცა, დიდი პრობლემაა ბავშვების თვეობით ოჯახებისთვის მოწყვეტა.

— პრობლემაა კვალიფიციური მწვრთნელთა საკითხი. ახლა გვსურს უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს ყოველწლიურად ორი-სამი თვით მივავლინოთ მწვრთნელები, რაზეც ავსტრიასთან მოლაპარაკებულები ვართ, მაგრამ ასეთები ბევრიც არავინ გვეყოლება, მით უმეტეს, უცხო ენების მცოდნენი.

— ყოველივე ამის გამო ჯერჯერობით ისევ სამი-ოთხი სპორტსმენის იმედად ვართ. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, სოფო ახმეტელისა გვეიმედება, რომელიც ერთადერთი უცხოელია, რომელიც ავსტრიის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს და იქაურებს, რომლებიც სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ვარსკვლავები არიან, თითქმის თანაბრად ეპაექრება.

— სამწუხაროდ, ახმეტელი კვლავ დაშავდა და რამდენიმე დღის წინათ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რამაც ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მისი გამოსვლა საეჭვო გახადა...

გოგი თოფაძემ ისაუბრა ბორჯომის საოლიმპიადო სამზადისზეც ითქვა, რომ კეთდება ბაკურიანის გენერალური გეგმა, წლეულს იქვე მწყობრში შევა სუპერთანამედროვე საბაგირო გზა, რომელიც გაისად გაფართოვდება.

მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, იმისთვის, რომ ბორჯომმა ოლიმპიური თამაშების მიიღოს, საქართველომ უთუოდ უნდა უმასპინძლოს საერთაშორისო შეჯიბრებებს, დასაწყისისთვის ეს შეიძლება იყოს „კავკასიის თასის" გათამაშება, რომელიც სპორტის ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში უნდა მოხვდეს.

რაც შეეხება ოლიმპიადის მასპინძლობის შანსებს, როგორც გოგი თოფაძემ ბრძანა და უცხოელ ექსპერტთა აზრიც დაიმოწმა, ჩვენ არაერთი უპირატესობა გვაქვს სხვებთან შედარებით.

ყრილობაზე, რომელმაც ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, კიდევ ბევრი საინტერესო რამ ითქვა, ბოლოს კი გადაწყდა ფედერაციის სახელწოდების შეცვლა და ამიერიდან მას ეწოდება საქართველოს სათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაცია, რომლის პრეზიდენტობის კანდიდატი ერთადერთი, ისევ გოგი თოფაძე იყო და მანაც ეს პოსტი შეინარჩუნა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

*ავტორის ფოტო*



სანდრა რულოვსი გამარჯვებულებთან



სანდრა რულოვსმა ასე მიულოცა გამარჯვება დასავლეთს

**პირველი ლედის თასი.**
თბილისი. 11 ნოემბერი

**დასავლეთი 3:0 აღმოსავლეთი**
*25:22 25:18 25:19*

**დასავლეთი:** თამილა გეგუჩაძე, მარიკა გერლიანი, ნონა ღვინჯილია, ნელი აირაპეტიანი, ნათია არველაძე (კაპ), თამთა დავითულიანი, ირინა შენგელია, ირინა კახაძე, თამარ გვანცელაძე, თინათინ მიქაძე, ინგა იოსებაშვილი, ნინო შანიძე
**მწვრთნელი:** ნუგზარ მიქაძე
**აღმოსავლეთი:** სოფო ლომიძე (კაპ), ნინო ლომიძე, მაკა ძივძივაძე, მარიამ ყიფშიძე, თამუნა კორომშინაძე, თამუნა დიდებაშვილი; თამთა დანელია, თეა მძელური, ნათია ბანძელაძე, მაშა გოლოშაპოვა, თამუნა წიქარიშვილი, ნინო მუყარაშვილი
**მწვრთნელი:** პაატა ულუმბელაშვილი

# თასი მფლობელს დარჩა

„**პირველი** ლედის თასი" სპორტის სასახლეში მეორედ გათამაშდა და კვლავაც დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. საქართველოს ნაკრებისა და დიდი ჯიხაიშის კოლეჯის მთავარი მწვრთნელის ნუგზარ მიქაძის გუნდმა თასი საკმაოდ იოლად შეინარჩუნა.

დასავლეთელთა შემადგენლობაში თორმეტი ფრენბურთელიდან თერთმეტი სწორედ დიდი ჯიხაიშის კლუბის წევრი იყო, აღმოსავლელთა ბირთვს კი თბილისელები შეადგენდნენ.

ერთი შეხედვითაც ჩანდა, აღმოსავლელები მეტოქეებზე პატარები და გამოუცდელები იყვნენ. მეტადაც ნერვიულობდნენ და შეცდომებსაც უფრო მრავლად უშვებდნენ.

შედარებით დაძაბული პირველი პერიოდი გამოდგა. დასავლელები მეტწილად მდევრის როლში იყვნენ და ბოლოსღა შეძლეს მეტოქის გატეხვა, პერიოდის ბედი 18:20-დან შეატრიალეს და 25:22 მოიგეს.

მეორე პერიოდში მიქაძის შეგირდებმა თავიდანვე მოიპოვეს ხუთქულიანი უპირატესობა და საერთო ანგარიშიც მშვიდად გაზარდეს — 2:0.

პაატა ულუმბელაშვილის გუნდმა სხვაობის შესამცირებლად ერთხელაც გაიბრძოლა, მაგრამ გააქტიურება მხოლოდ რამდენიმე წუთით მოახერხა და მერე ისევ დათმო სადავეები.

თასი დასავლეთს თავად პირველმა ლედიმ, სანდრა რულოვსმა გადასცა, კაპიტნებს კი თავისი წიგნებიც უსახსოვრა.

გამარჯვებულთა მწვრთნელის მოხელთება კარგა ხანს შეუძლებელი გახდა. თამაშის დასრულებისთანავე დიდი ჯიხაიშიდან ჩამოსული ასამდე გულშემატკივრის ალყაში მოექცა.

*ნუგზარ მიქაძე:* თასის მფლობელები ვიყავით და ვიცოდი, შენარჩუნება მოპოვებაზე ძნელი იქნებოდა. შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ, თამაშით კი არა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქედ უმცროსები ჰყავდათ, ჩემმა მოთამაშეებმა ზედმეტად ინერვიულეს და ეს მათ თამაშსაც დაეტყო. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ საერთო წინსვლა იგრძნობა. პატარები აშკარად უკეთ თამაშობენ და გაისად უფრო ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

# სტუმარ-მასპინძელს დანაკლისი არ აშინებს

**დღეს** ორ საათზე „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩვენი ბორჯღალოსნები ჩილის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, გუშინ კი რაგბის კავშირში წინასამატჩო პრესკონფერენცია მოეწყო, რომელზეც ორივე გუნდის მწვრთნელები და კაპიტნები გამოცხადნენ.

ილო ზედგინიძის არყოფნაში „ბორჯღალოსნებს" უკვე მეორედ მოუწიათ ახალი კაპიტნის დასახელება. გოდერძი შველიძემ ამ სტატუსით მოედანზე გასვლა ურუგვაელთა ჩამოუსვლელობის გამო ვერ მოახერხა. მერე შეკრება ნაადრევად შეწყვიტა და საფრანგეთში, თავის კლუბს მიუბრუნდა, დღეს კი ნაკრებს ბესიკ ხამაშურიძე უკაპიტნებს.

მეტოქემ თბილისში ჩამოსვლამდე გასულ შაბათს პორტუგალიაში თამაში მოასწრო. სტუმრები 18:31 დამარცხდნენ და მათი ყველა ქულა (5 საჯარიმო და 1 არეკნი) სებასტიან ბერტიმ მიითვალა. ივი სადღეისო შემადგენლობაში აღარ შეუყვანიათ. ბერტი ინგლისში ბურთაობს და პორტუგალიური მატჩის შემდეგ კლუბს მიბრუნებია.

ანალოგიური მიზეზის გამო ჩილიელებს „ლოკომოტივზე" არც ერთი ევროპაში მოთამაშე ლეგიონერი არ ეყოლებათ, თუმც იმ რვა კაცის გარეშეც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო, გაიძახიან.

დანაკლისზე ვთქვით და აბა, როგორ იქნება პრობლემებმოძალებული „ბორჯღალოსნებიც" არ ვახსენოთ. ჯერ ურუგვაისთანაც გვარიანი ძალა გვაკლდა ტრავმირებულ თუ სხვა მიზეზთა გამო ჩამოუსვლელ ლეგიონერთა სახით, რამდენიმე დღის წინ კი ნაკრებს კიდევ ხუთი ლეგიონერი გამოაკლდა.



ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ჭეიშვილი, კრისტიან ხორი და სებასტიან გარსია

აქამდე საქართველოსა და ჩილის ნაკრების გუნდები ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ, შარშან ეთაშნენ, სამხრეთ ამერიკაში. მასპინძლებმა 30:24 მოგვიგეს, ახლა კი ბორჯღალის ბიჭები სარევანშედ ემზადებიან.

ახლა კი გუშინდელი პრესკონფერენციის სტუმარმასპინძლური კომენტარები:

***კრისტიან ხორი (ჩილის ნაკრების მწვრთნელი):***

ჩვენი ნაკრებისთვის პორტუგალიასა და საქართველოში თამაში ძალიან დიდი პატივია. წლების წინ ასეთი დონის ევროპულ ნაკრებებთან სტუმრობას ვერც წარმოვიდგენდით. თქმაც არ უნდა, უმძიმესი ბრძოლა გველის. თქვენი გუნდი ძალიან ძლიერია და მებრძოლი ხასიათით გამოირჩევა. ხვალ ამას ორგანიზებულებაც დაემატება, მაგრამ ვეცდებით, ჩვენი მაინც დავამტკიცოთ. აქცენტს ბურთის კარგად მართვასა და ხისწრაფეზე გავაკეთებთ.

***მალხაზ ჭეიშვილი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):***

ბევრი მორაგბე გვაკლია. ურუგვაისთან მატჩისწინა შეკრების მერე კიდევ ხუთი ლეგიონერი წავიდა, მაგრამ სერიოზული პრობლემები მაინც არ უნდა შეგვექმნას. ორკვირიანი შეკრება ნაკრებს ძალიან წაადგა. ძნელია თქვა, რომ იდეალურ ფორმას მივაღწიეთ, თუმც ბევრი რამ დავხვეწეთ. ჩილიელები მშვენივრად თამაშობენ ხელით. შერკინება შედარებით სუსტი ჰყავთ და, ცხადია, უპირატესობის მოპოვებას ბურთის უშეცდომოდ გათამაშებით შეეცდებიან. ხვალ ჩვენ მათ სწორედ ამ კომპონენტს დავუპირისპირებთ.



ბორჯღალოსნებს ახალი კაპიტანი ბესიკ ხამაშურიძე

| საქართველო | | ჩილე |
|---|---|---|
| ოთარ ბარკალაია | 15 | ფრანსისკო კრუზი |
| ბესიკ ხამაშურიძე (კაპ) | 14 | სანტიაგო ზოლეზი |
| დავით ჟამუტაშვილი | 13 | ფელიპე გრაელი |
| ირაკლი მაჩხანელი | 12 | პაბლო რეპულვედა |
| გიორგი შკინინი | 11 | კრისტობალ ბერტი |
| ბობა კვინიხაძე | 10 | კრისტიან ონეტი |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | ხოსე ოლავე |
| ბესიკ უდესიანი | 8 | პაულ მარსალი |
| რატი ურუშაძე | 7 | რაულ მარინი |
| რევაზ ბელქანია | 6 | სებასტიან გარსია (კაპ) |
| მამუკა გორგოძე | 5 | ფრანსისკო კაბრერა |
| გიორგი ნემსაძე | 4 | პატრისიო დესმონდი |
| გიორგი ჟღენტი | 3 | ალეხანდრო მორენო |
| დავით დადუნაშვილი | 2 | სებასტიან ბოსაანსი |
| გიორგი კუთარაშვილი | 1 | სერჟიო დე ლა ფუენტე |
| **მწვრთნელი:** მალხაზ ჭეიშვილი | | **მწვრთნელი:** ხორხე ნავესი |

**მსაჯი:** ბრუნო ბესო (საფრანგეთი)

# ბლუზმენთა კიდევ ერთი სატკივარი

10 ნოემბერი

**პიტსბურგი 3:2 მონრეალი**

*2:0 0:1 0:0 1:0*

**1:0 კროსბი (8), 2:0 ლემიე (19), 2:1 რივე (33), 2:2 ჰიგინსი (57), 352 გადამწყვეტი ბულიტი: კროსბი.**

**ზოგჯერ** მოწაფე მასწავლებელს სჯობს. „მონრეალთან" თამაშში სიდნი კროსბიმ არა მარტო გაიმეორა სახელოვანი მარიო ლემიეს შედეგი (ორივემ თითო-თითო გოლი მიითვალა ძირითად დროში), არამედ აჯობა კიდეც ბულიტების სერიაში. მას შემდეგ, რაც მარიომ ვერ გამოიყენა ბულიტი, თამაშის ბედის გადაწყვეტა კროსბის დაეკისრა და ვუნდერკინდმა ჩინებულად გამოიყენა თავისი შანსი.

„მარიო რომ ურტყამდა, დავაკვირდი, როგორ მოძრაობდა მონრეალის მეკარე და საპირისპირო სვლით მოვატყუე იგი" — თქვა ნამატჩევს კროსბიმ, რომლის სიხარული კიდევ იმ ფაქტმა გააორმაგა, რომ თვით „მონრეალი" დაამარცხა, გუნდი, რომელში თამაშზეც, ისევე როგორც ნებისმიერი კანადელი ბიჭი, ბავშვობიდან ოცნებობდა.

**ფილადელფია 3:2 აილენდერსი**

*0:2 2:0 1:0*

**0:1 შატანი (15), 0:2 იორკი (16), 1:2 შარპი (24), 2:2 კარტერი (37), 3:2 შარპი (43)**

**ფილადელფია** პეტერ ფორსბერგის სამეულის (67 ქულა 13 მატჩში) გარეშე პირველად გავიდა იოლას. სამაგიეროდ, თავი ახალბედა ჯეფ კარტერმა (1+2) და ძირითადში იშვიათად მოთამაშე პატრიკ შარპმა გამოიჩინეს. სამივე გოლი მათ მიითვალეს.

**სენტ ლუისი 2:4 ჩიკაგო**

*1:2 1:1 0:1*

**1:0 რაიკროფტი (4), 1:1 ბელი (4), 1:2 ვანდერმეერი (11), 2:2 უეიტი (21), 2:3 ვენდერმეერი (30), 2:4 კალენი (45)**

**ისედაც** სავალალო მდგომარეობაში მყოფ „სენტ ლუისს" ხუთშაბათს კიდევ ერთი სატკივარი გამოუჩნდა. ახლა „ბლუზმენებს" საკუთარ კარშიც გააქვთ გოლები. ჩიკაგოელ ჯიმ ვანდერმეერს ორი შაიბიდან ერთი სულაც არ გაუტანია, უბრალოდ, ბოლოს იგი შეეხო შაიბას, ჰოკეიში კი ავტოგოლები არ ფიქსირდება.

**ნეშვილი 5:3 დალასი**

*1:1 1:2 3:0*

**0:1 მოროუ (7), 1:1 ერატი (19), 1:2 პეროტი (24), 2:2 სალივანი (27), 2:3 ბუშე (36), 3:3 ჟიდლიცკი (41), 4:3 სალივანი (51), 5:3 სალივანი (58)**

**შეიძლება** კაცმა ჰეთ თრიქი შეასრულოს და მაინც უკმაყოფილო იყოს. ისე, ნეშვილელ სტივ სალივანს უკმაყოფილება დიდად არ ეტყობოდა, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ პოკერი უფრო გაუხარდებოდა.

საქმე ისაა, რომ მეორე პერიოდში ფორვარდმა ბულიტი გააცუდა. თუმც ეს შანსი რომ გამოეყენებინა, ბოლო მესამედში ეგებ აღარ შეეგდო კიდევ ორი შაიბა და თამაშიც სულ სხვა ანგარიშით დასრულებულიყო.

**ბოსტონი 2:5 ოტოავა**

*1:1 1:3 0:1*

**0:1 ჰიტლი (1), 1:1 ბოიზი (10), 1:2 სმოლინსკი (25), 1:3 შეფერი (27), 1:4 ჰავლატი (30), 2:4 მიურეი (36), 2:5 ჰიტლი (41)**

**დანი** ჰიტლის „ტოავაში" გადასვლა მეტად მოუხდა. აგერ უკვე 14 თამაშია, ფორვარდი ქულებს აგროვებს, რაც კლუბის ახალი რეკორდია. ამჯერად ჰიტლიმ გამარჯვებაში ორი გოლით შეიტანა წვლილი.

**ტამპა 2:5 რეინჯერსი**

*0:1 1:0 1:4*

**0:1 ნიემინენი (12), 1:1 სან ლუი (26), 1:2 უორდი (45), 1:3 მური (48), 2:3 ბოილი (52), 2:4 მური (56), 2:5 ჰოსა (60)**

**სტენლის** თასის მფლობელი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა.

**ვანკუვერი 3:5 კოლორადო**

*0:4 2:0 1:1*

**0:1 ლაპერიე (1), 0:2 საკიკი (4), 0:3 სვატოში (7), 0:4 ლააქსონენი (13), 1:4 ჟოვანოვსკი (22), 2:4 ბერტუცი (31), 2:5 სკრასტინში (48), 3:5 პარკი (59)**

**ფინიქსი 3:4 კალგარი**

*1:2 1:1 1:1*

**0:1 რეჟე (2), 1:1 საპრიკინი (9), 1:2 კობასიუ (18), 1:3 რაინპრეხტი (29), 2:3 ჯონსონი (33), 2:4 იგინლა (44), 3:4 ნადი (60)**



AFP სენტ ლუისიდან

წაგებით გამწარებული სენტ-ლუისელ ჯამალ მაიერსს (მარჯვნივ) ჩიკაგოელი მეტიუ ბარნაბი შემოელახა



ეროვნული ბიბლიოთეკა





AFP ლოს ანჯელესიდან

შარაპოვა — დევენპორტის მატჩმა მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭა

# ფინალისდარი

## ყველა ნახევარფინალისტის ვინაობა გარკვეულია

**მასტერსის თასი**

ლოს ანჯელესი. აშშ

მაგარსაფარი

საპრიზო 3 000 000 $

**მწვანე ჯგუფი**

**მარია შარაპოვა (რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (აშშ) — 6:3 5:7 6:4; პატი შნიდერი (შვეიცარია) — ნადია პეტროვა (რუსეთი) — 6:0 5:7 6:4**

**გუშინ** მწვანე ჯგუფში ორი თამაში გაიმართა და ცნობილი გახდა იმ ორივე ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც გააგრძელებენ ასპარეზობას ნახევარფინალში. ლინდსი დევენპორტის კვალდაკვალ ჯგუფიდან გასვლა მარია შარაპოვამაც გაინაღდა. მან ეს უფლება სწორედ ამერიკელთან მატჩში მოიპოვა, ეს კი ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც დღის პირველ მატჩში შვეიცარიელმა პატი შნიდერმა მეორე რუსს — ნადია პეტროვას მოუგო.

მატჩი მარია შარაპოვასა და ლინდსი დევენპორტს შორის ნამდვილად კარგი საყურებელი გამოდგა და თავისი სცენარითა და ჩოგბურთელების თამაშის დონით ფინალს შეედრებოდა.

მარია შარაპოვამ მართლაც უმაღლესი დონის თამაში აჩვენა. მას მატჩის გამანვლობაში ერთი წუთითაც კი არ მოუდუნებია ყურადღება და თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების რაოდენობა. რუსი კარგადაც აწოდებდა (13 ეისი და პირველი მოწოდების 65 პროცენტიანი მაჩვენებელი) და მშვენივრად თამაშობდა მიღებაზეც. ყველაფერთან ერთად შარაპოვა ზედმიწევნით ასრულებდა თამაშის წინ შემუშავებულ გეგმას — ცდილობდა, დევენპორტისთვის არ მიეცა სტატიკური მდგომარეობიდან შეტევის დაწყების საშუალება, როცა ის ყველაზე სახიფათოა და ამიტომ მოკლე კროსებითა და გრძელი დიაგონალებით ცვლიდა თამაშის ტემპს, ბევრს არბენინებდა ამერიკელს, რომ მას თავისი ძლიერი დარტყმების არსენალი არ გამოეყენებინა. ყოველივე ეს მთლიანობაში ის რეცეპტი იყო, რომელიც რუსს რეიტინგის პირველი ნომრის დამარცხებაში დაეხმარა.

თამაში თავიდანვე რუსის უპირატესობით წარიმართა. მან პირველი სეტის მერვე გეიმში გააკეთა ბრეიკი და შემდეგ პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. მეორეც იგივე სცენარით დაიწყო, თუმცა სეტის შუაწელში შარაპოვამ უკლო აქტიურობას და შეტევის მაგიერ მეტოქის შეცდომებს ელოდა, ასეთ რამეს კი დევენპორტი არავის პატიობს. როცა ანგრიში 5:3 იყო რუსის სასარგებლოდ, ამერიკელმა ზედიზედ ოთხი მოწოდება მოიგო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ პარტიაში შარაპოვამ იგივე თამაში აჩვენა, როგორც პირველ სეტში და უპირატესობა კვლავ მის მხარეს გადავიდა. რუსმა საკმაოდ მალე გააკეთა ბრეიკი, ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და ეისით დაამთავრა კიდეც თამაში.

„მიხარია, რომ ტრავმა აღარ მიშლის ხელს... დღეს მართლაც სოლიდური ჩოგბურთი ვაჩვენე. ჭკვიანურად ვითამაშე. რაც მთავარია, მას (დევენპორტს) არ მივეცი საშუალება, რომ თავისი ძლიერი მხარეები გამოეყენებინა" — განაცხადა მატჩის შემდეგ შარაპოვამ.

„არ ვიცი, პირველ სეტში ასე ცუდად რატომ ვითამაშე, ალბათ ყველაფერი მოტივაციის ბრალია" — ესღა თქვა დევენპორტმა.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში ნადია პეტროვამ ტურნირზე მეორე შეხვედრა წააგო და ნახევარფინალში გასვლის შანსს გამოეთხოვა, შნიდერისთვის კი ეს მოგება უფრო პრესტიჟის საქმე იყო, ვინაიდან შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი ისედაც თითქმის გადაწურული ჰქონდა.

პეტროვამ, წინა მატჩის მსგავსად, შნიდერთანაც ძალიან ცუდად დაიწყო თამაში და პირველ სეტში გეიმის აღებაც ვერ მოახერხა. თუმცა რუსმა ნელ-ნელა შეძლო თამაშის გამოსწორება, მეორე სეტში თანაბრად ეთამაშა შნიდერს და ბრეიკიც გააზერხა, რის შემდეგაც ანგარიში გათანაბრდა.

მესამე სეტში პეტროვამ უკვე ველარ გაუძლო შვეიცარელის ჭკვიანურ შეტევებს და შეხვედრაც წააგო.

**შავი ჯგუფი**

**ამელი მორესმო (საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 6:2 6:3**

**შავ** ჯგუფში გუშინ მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა, მაგრამ ეს საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ გარკვეულიყო, ვინ ითამაშებს ნახევარფინალში.

ამელი მორესმომ დაამარცხა რუსი ელენა დემენტიევა და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა. იგი აქ თანამემამულე მარი პირსს შეუერთდება, მათი მესამე ტურის შეხვედრა კი ფორმალობაღაა და მხოლოდ ისღა გაირკვევა, რომელი მათგანი დაიკავებს პირველ ადგილს ჯგუფში. ასე რომ, საკმაოდ რეალურია, ფრანგული ფინალის მოწმენი გავხდეთ.

არადა, ამას ვინ წარმოიდგენდა... არც დემენტიევა მიიჩნეოდა აუტსაიდერად, მაგრამ ამ ჯგუფის კიდევ ერთი წევრი კიმ კლაისტერსი საერთოდ ტურნირის მოგების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად სახელდებოდა, მორესმომ კი ბოლო 5 დღის განმავლობაში მეორედ დაამარცხა რუსი.

შეიძლება ითქვას, რომ მან საბოლოოდ აიღო რევანში დემენტიევასთან, როცა ორი თვის წინ ფედერაციის თასის (დევისის თასის პროტოტიპი ქალთა შორის) ფინალში ამ უკანასკნელმა ფაქტობრივად მარტომ დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები.

ისე, დემენტიევას ამ ტურნირზე აშკარად ეტყობოდა, რომ გადაღლილი იყო. ამან დიდწილად შეუშალა ხელი რუსს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში.

ელენა ხშირად ბევრ შეცდომას უშვებს, ხანგრძლივი მატჩების ჩატარება უწევს და კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა მისთვის აუცილებელია.

მორესმომ კი ფილდერშტადტის და კრემლის ტურნირებზე ნაჩვენები უფერული თამაშის შემდეგ შეძლო კარგი ფორმის აღდგენა და ლოს ანჯელესშიც მშვენიერ ჩოგბურთს აჩვენებს.

**კახა ლომაშვილი**



AFP ბუენოს აირესიდან

# შენ, ასეთი გამხდარი

დიეგო კვლავ მოედანზეა და კვლავ იმ თავისთვის ტკბილ ბომბონიერას მინდორზე. მშობლიური „ბოკას“ სამოსი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვეტერანთა თამაშში მონაწილეობას გულისხმობს, ცოტახნით, მაგრამ მაინც.

# გზად



AFP ფრანკფურტიდან

ამ საღამოს ბრაზილიის ნაკრები აბუ დაბიში საამიროთა ნაკრებს ეთამაშება, 15 ნოემბერს კი ელ კუვეიტში კუვეიტის ლიგის ვარსკვლავთა ვუნდს. სატრანზიტო გზა ფრანკფურტზე იდო, ჰოდა, რონალდინიო გაუშუ და ადრიანო ცდილობდნენ, დაესვენათ.

# გოგოს ეტკინა

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატმა ძალოსნობაში ტრავმებიც იცის. ტაილანდელი იუნჰიმი კუნტატეანიც საკმაოდ დაშავდა მორივი მისვლის შემდეგ. 53 კილოგრამამდე წონაში მან მეორე ადგილი დაიკავა ჩინელ ლი პინგის შემდეგ.



AFP დოჰადან



## ყირა შესვენებაზე

კალათბურთის შესვენებისას მოცეკვავე გოგოები, აბა, ვის არ უნახავს. „მაიამისა“ და „ჰიუსტონის“ თამაშის შესვენებაზე მაიამელმა გოგოებმა ისეთი ყირები ჭიმეს, რომ ხალხს კალათბურთი კინაღამ დაავიწყდა.

AFP მაიამიდან



## ოაზისამდე

უდაბნოს ჩელენჯი, გაერთიანებულ საამიროებში რომ მიმდინარეობს, ოაზისიდან ოაზისამდე სვლას გულისხმობს. ეს ფრანგიც, ჟან ფილიპ კაილე, მორიგ ოაზისამდე მიჰქრის ქვიშის მთებს შორის.

AFP ლუვადან


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ჩაჩუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
სალომე კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ზაური კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ჯოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიშვილი, თამაზ კოგუაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მამაცაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 203. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge